დაგეგმვისა და განვითარების სამსახური

- დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან თანამშრომლობით, ერთობლივი ტრანსსასაზღვრო სამდივნოს (TJS) მხარდაჭერით მომზადდა საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების სტრატეგია 2017-2030 და სამოქმედო გეგმა 2017-2020, რომელიც გაგზავნილია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში დასამტკიცებლად.
- განხილულ იქნა კოლხეთის, ალგეთის და მტირალას ეროვნული პარკების, ქობულეთის, ფშავ-ხევსურეთის, ყაზბეგის, კინტრიშის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმების სამუშაო ვერსიები. მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები და შენიშვნები.
- 2017 წლის 26 ივლისს დაცული ტერიტორიების სააგენტოში გაიმართა ტრენინგი ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.
- 2017 წლის 25 აგვისტოს გაიმართა შეხვედრა დაცული ტერიტორიების სააგენტოში საქართველოს საპატიო კონსულთან ფილიპინებში, შემუშავდა შემდგომი თანამშრომლობის საკითხები.
- განხილულ იქნა შპს „მეიდან ჯგუფი“-ს მიერ მომზადებული სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის სამუშაო ვერსიები.
- 2017 წლის 3-დან 26 სექტემბრამდე სააგენტოს თანამშრომლები: ნატო სულთანიშვილი - სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ხათუნა წიკლაური - სააგენტოს მთავარი სპეციალისტი, ხათუნა ქაცარავა - კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი გამოცდილებს გაზიარების მიზნით მივლინებული იყვნენ ჩინეთში ქ. ჰანგჟოუში, სადაც მონაწილეობა მიიღეს დაგეგმილ ტრენინგ-სემინარში „ჭარბტენიანი ტერიტორიების კონსერვაცია და მენეჯმნეტი”

- მომზადდა ერთიანი დოკუმენტი „საქართველოში ბუნების ძეგლის სტატუსის მინიჭების ეტაპების და არსებული დოკუმენტაციის მიმოხილვა“.

დაცული ტერიტორიების სისტემაში გამოვლენილი სამართალდარღვევები

დაცული ტერიტორიების სისტემაში (597 556ჰა) დაცული ტერიტორიების სააგენტო მართავს 49 5759 ჰა ტერიტორიას, რაც საქართველოს დაცული ტერიტორიების 83 %-ია. დაცვის სამსახურში დასაქმებულია 354 თანამშრომელი, მათ შორის 255 რეინჯერი და უფროსი რეინჯერი. რეინჯერებზე სამართავად მოდის საშუალოდ 1944 ჰა ტერიტორია.

საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულია 1850 საკონტროლო რეიდი. 30771- ჯერ ჩატარდა პატრულირება. პატრულირების დროს გავლილმა საშუალო მანძილმა შეადგინა 901061 კმ მათ შორის: ფეხით - 206160კმ, ცხენით - 53117 კმ, ავტოტრანსპორტით - 628 794 კმ, წყლის ტრანსპორტით - 14050 კმ. აღნიშნულის შესაბამისად დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა ფეხით და სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით ყოველდღიურად საშუალოდ გაიარეს 9,42 კმ.

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2017 წლის მონაცემებით გამოვლენილი და სამართალდამცავ ორგანოებზე გადაცემულია 341 სამართალდარღვევის ფაქტი. აღნიშნული ფაქტიდან 335 ადმინისტრაციულია, ხოლო 6 - სისხლის სამართლის.



გამოვლენილი ფაქტები სამართალდარღვევების მიხედვით შემდეგია: 16 – უკანონო თევზაობა, 112 - უკანონო ჭრა, 10 - უკანონო ნადირობა, 10 - ტერიტორიის დანაგვიანება, 62 -

უკანონო ძოვება, 55 - ნადირობის წესების დარღვევა, 6 - თევზაობის წესების დარღვევისა და 69 - სხვადასხვა სამართალდარღვევა.

2017 წლის 9 თვის განმავლობაში დამნაშავეებზე გამოვლინდა 324,01 მ³-ზე უკანონო ჭრა.



- სტატისტიკურად ყველაზე მეტი გამოვლენილი სასამართლოზე გადაცემული უკანონო ქმედებები დაფიქსირდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკის ადმინისტრაციაში, სადაც დაფიქსირდა 99 სამართალდარღვევის ფაქტი. შემდგომ მოდის კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია, სადაც დაფიქსირდა გამოვლენილი 61 სამართალდარღვევის ფაქტი.



- უკანონოდ მოჭრილი ყველაზე მეტი 297,22 მ³-ის მოცულობის ხე-ტყე დამრღვევებზე გამოვლენილი მოდის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაზე.

შემდგომ მოდის მაჭახელას ეროვნული პარკისა ადმინისტრაციის ტერიტორია, სადაც უკანონო ჭრაზე გამოვლინდა 123,1მ³ ოდენობის ხე-ტყე.



- ნადირობასთან დაკავშირებით ყველაზე მეტი 42 ფაქტი გამოვლინდა კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიებზე.
- თევზაობასთან დაკავშირებული 13 ფაქტი გამოვლინდა თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ხოლო ძოვების წესების ყველაზე მეტი 21 ფაქტი გამოვლინდა - ჭაჭუნას აღკვეთილის ტერიტორიაზე.
- ტერიტორიის დანაგვიანების ყველაზე მეტი 6 ფაქტი გამოვლინდა - კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე.
- უკანონო ქმედებები არ გამოვლენილა ყაზბეგის, იმერეთისა და ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე.

2016 წლის 9 თვის გამოვლენილ სამართალდარღვევებთან შედარებით (317 შემთხვევა) 2017 წლის 9 თვის განმავლობაში გამოვლენილი სამართალდარღვევები გაიზარდა 24 ფაქტით, რაც შეადგენს სამართალდარღვევების ფაქტების გამოვლენის 7%-ით ზრდას. აღნიშნული ფაქტებიდან 2016 წლის აღნიშნულ პერიოდთან შედარებით ყველაზე მეტი 2017 წლის 9 თვის განმავლობაში გაიზარდა გამოვლენილი უკანონო ჭრების რაოდენობა 44 ერთეულით რის შედეგად გამოვლენილი უკანონო ჭრების რაოდენობა გაიზარდა 189 მ³-ით.

ხანძრები

დაცულ და მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე 2017 წელს დაფიქსირდა ხანძრების 21 ფაქტი მათ შორის 4 ვაშლოვანის ეროვნული პარკის ბუფერულ ზონაში. 1-ჯერ ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის ბუფერულ ზონაში, რომელიც ჩააქრეს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებმა და 13-ჯერ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ხანძრის 3 ფაქტი დაფიქსირდა. ხანძრების შედეგად ძირითადად დაიწვა საძოვრებზე და ტყეში არსებული ტერიტორიები დაახლოებით 250 ჰექტარზე სადაც დაიწვა ბალახოვანი საფარი, ხმელი ხე-მცენარეები (მოთხრილ-მოტეხილი) და გაირუჯა ძირითადად ცოცხალი ფიჭვის სახეობის ხე-მცენარეები.



ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

ადგილობრივი მოსახლეობის ხე-ტყით უზრუნველყოფის მიზნით 2017 წლის 9 თვის მონაცემებით ადგილობრივ მოსახლეობაზე გაცემულია 3912მ³ ხე-ტყე მათ შორის 3290 მ³-ზე მეორე ხარისხის (საშეშე) ხე-ტყე და 622მ³ I ხარისხის ხე-ტყე. ყველაზე მეტი 1030მ³ მეორე ხარისხის (საშეშე) ხე-ტყე გაიცა კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან ხოლო შემდგომ 740მ³ მეორე ხარისხის (საშეშე) ხე-ტყე გაიცა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან. დაცული ტერიტორიების გარშემო მცხოვრები მოსახლეობიდან მეორე ხარისხის (საშეშე) ხე-ტყით დაკმაყოფილდა დაახლოებით 650 ოჯახი. I ხარისხის ხე-ტყე გაიცა ნეძვის აღკვეთილის ტერიტორიიდან.



სამეცნიერო საქმიანობა

მომზადდა 2016 წლის ცხოველების და ფრინველების სტატისტიკის მონაცემები და დიაგრამები.





ცხოველებიდან მაქსიმალური რიცხოვნობით გამოირჩეოდა შველი, ჯიხვი და ირემი, შემდგომ არჩვი, დათვი და ნიამორი. ფრინველებიდან დაცულ ტერიტორიებზე ყველაზე ხშირად იქნა ნანახი მტაცებელი გრაფიკები ჭაობის ძელქორი და ველის კაკაჩა.
მომზადდა ირმის რიცხოვნობის 2016 წლის სტატისტიკური მონაცემები ბორჯომ-ხარაგაულის, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების და გარდაბნის აღკვეთილის პოპულაციების შესახებ.

გრაფიკულმა გამოსახულებამ აჩვენა, რომ 1990 წელს და რიცხოვნობის მკვეთრი დაცემა დაფიქსირდა 1995 წლიდან 2000 წლამდე. 2000 წლის შემდგომ ეტაპზე ფიქსირდებოდა რიცხოვნობის ზრდა უმნიშვნელო ფლუქტუაციებით. ირმის მაქსიმალური რიცხოვნობა დაფიქსირდა 2016 წელს.

გადამოწმდა ადმინისტრაციებიდან მოწოდებული „ბუნების მატიანე“-ები და გამოყენებული იქნა ინფორმაცია ბიოლმარავალფეროვნების შესახებ.

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2017 წლის 9 თვის სულ 30 სამეცნიერო კვლევა განხორციელდა, მათი უმრავლესობა მოკლევადიანი და 3 კვლევა არის გრძელვადიანი, აღსანიშნავია შავი ზღვის ძუძუმწოვრების კვლევა. დაცული ტერიტორიებიდან

მკვლევარებისათვის ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს ვაშლოვანის, ბორჯომ-ხარაგაულის და კოლხეთის ეროვნული პარკების ბიომრავალფეროვნება. ყველაზე აქტიური პერიოდი სამეცნიერო კვლევებისათვის ივნისის თვეა, რომლის შემდგომ დაიწყო კლება. ნებართვები სამეცნიერო კვლევებზე უკვე გაცემულია შემდეგი კვარტლის პერიოდზეც.





დარგების მიხედვით 67 % ზოოლოგიური კვლევები ჭარბობდა, მათგან გამოირჩევა ენტომოლოგიური და ფრინველების კვლევები, აღსანიშნავია, ასევე, რომ გრძელვადიანი კვლევებიდან სწორედ ზოოლოგიური კვლევებია. შემდგომ გეოლოგია, სატყეო და ბოტანიკური კვლევები, დანარჩენი დარგები ერთეული კვლევებით შემოიფარგლებიან.





სამეცნიერო კვლევები მეტ წილად ქართველი მეცნიერების მიერ იქნა ჩატარებული, ხოლო 7 კვლევა უცხო ქვეყნის მეცნიერების მიერ არის წარმოებული.

მომზადდა ასევე დაცულ ტერიტორიებზე წარმოებული და მიმდინარე სამეცნიერო კვლევების ერთიანი ცხრილი და შედეგად გამოვლინდა, რომ ყველაზე მეტი რაოდენობის კვლევა ჩატარდა 2014 და 2015 წლებში.



აღნიშნულ შემაჯამებელ მონაცემებში ნათლად ჩანს, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზოოლოგიურ და ბოტანიკურ კვლევებს.



სააგენტოს მიერ მუდმივად წარმოებს რეინტროდუცირებული ჯეირნების მონიტორინგის მასალების მომზადება და ასევე საჭიროების შემთხვევაში შემდგომი ნაბიჯების გადადგმა დონორ ორგანიზაციებთან ერთად - TJS.

ქურციკის აღდგენის კომპონენტი პროექტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, იგი ითვალისწინებს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ქურციკების შემოყვანას აზერბაიჯანის რესპუბლიკის შირვანის ეროვნული პარკიდან, მათ მონიშვნას სატელიტური აღჭურვილობით და ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტერიტორიის მართვადი დაცვის ზონაში მათ გაშვებას. 2017 წლის მდგომარეობით სამუხის ველის თითქმის მთლიანი ტერიტორია ათვისებულია ქურციკების სხვადასხვა ჯგუფების მიერ. მათი ადგილსამყოფელის ძირითადი ცვლილებები განპირობებულია ისეთი ფაქტორებისგან, როგორიცაა ამინდი (გვალვის პერიოდში ქურციკების ჯგუფები ძირითადად სამუხის სამხრეთ ნაწილში, მდინარე იორის სასაზღვრო არხის მიმართულებით გადაადგილდებიან), სეზონები (გვიანი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ქურციკების ნახვა მთელს ტერიტორიაზეა შესაძლებელი, ხოლო გვიანი შემოდგომიდან გაზაფხულამდე ისინი ძირითადად ისეთ ტერიტორიას იყენებენ, რომელიც ნაკლებადაა ფერმებით და ცხვრის ფარებით დატვირთული), გამრავლების პერიოდში ქურციკები უმეტესწილად სამუხის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში (ვაშლოვანის ნაკრძალის მიმართულებით) არსებულ ტერიტორიას იყენებენ. თითოეული მონიტორინგის დროს ხდება ქურციკების სხვადასხვა რაოდენობის დაფიქსირება. მნიშვნელოვნადაა გაზრდილი სამუხის ველზე მათი შეხვედრის ალბათობა, რაც არამხოლოდ მონიტორინგის შედეგებით, არამედ მწყემსებისა და მესაზღვრეებისგან მიღებული ინფორმაციითაც დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ ქურციკის პოპულაციის აღდგენის პროექტის მიმდინარეობისას დაფიქსირებულია რამდენიმე ინდივიდის სიკვდილი. დღეისათვის არსებული მდგომარეობა პროექტის წარმატებულ მიმდინარეობაზე მიუთითებს.

ჯეირნების გადაადგილების მარშუტები ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებსა და მინგეჩაურის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე.



- ადმინისტრაციების მიერ მომზადდა და სააგენტოსთან შეთანხმდა „ბუნების მატიანეები“.
- 2017 წლის 27 იანვარს სააგენტოში მოეწყო დაცულ ტერიტორიების თბილისის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის საჯარო განხილვა, რისთვისაც გასული წლის ბოლოს და იანვრის დასაწყისში მომზადებული იქნა ინფორმაცია თბილისის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების შესახებ და ასევე მომზადდა მონიტორინგის გეგმა.
- 2017 წლის 20 აპრილს კახეთის რეგიონის დაცული ტერიტორიების (ვაშლოვანის, ლაგოდეხის, ბაწარა-ბაბანეურის, თუშეთის დაცული ტერიტორიების და ჭაჭუნას აღკვეთილის) ბუნებრივი რესურსების სპეციალისტთათვის გაიმართა ტრენინგი ჩეხეთის საელჩოს მხარდაჭერით დაფინანსებული „ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის ფუნქციონირების შესახებ“.
- კინტრიშის დაცული ტერიტორიებისა და პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლის საგამოფენო დარბაზის მოსაწყობად მომზადდა ინფორმაცია ბიომრავალფეროვნების შესახებ საგამოფენო დარბაზის საინტერპრეტაციო დაფებისათვის.
- 2017 წლის 24 აპრილს ჩეხეთის რესპუბლიკის ქ. ბრნოს სატყეო უნივერსიტეტის პროფესორების მიერ ო. ჰოლუშა და კ. ჰოლუშოვას მიერ თბილისის ეროვნული პარკის ბუნებრივი რესურსების სპეციალისტებსა და რეინჯერებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: “ტყეთმოწყობის ძირითადი პრინციპები და აღრიცხვის მეთოდები“, რომლის ფარგლებშიც დახმარება გაეწიათ ორგანიზებასა, თარგმანსა და განმარტებაში.
- ბუნებრივი რესურსების მთავარი სპეციალისტის მიერ განხორციელდა მივლინებები, რომელზეც განიხილებოდა კინტრიშის და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების, ყაზბეგის ეროვნული პარკის მონიტორინგის პროგრამები, მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები.
- განხილულ და მომზადებულ იქნა რეკომენდაციები სამეცნიერო კვლევისათვის „მდ. რიონის შესართავსა და შავი ზღვის სანაპირო აკვატორიაში ზუთხისებრთა სახეობების კვლევა, იხტიოფაუნის ზოგადი შეფასება და თანმდევი პარამეტრების შესწავლა“.

- განხილულ და მომზადებულ იქნა რეკომენდაციები „შავი ზღვის ძუძუმწოვრების (დელფინები და ზღვის ღორები) მენეჯმენტის გეგმის იმპლემენტაცია“.
- 2017 წლის 11 ივლისს შედგა სამუშაო შეხვედრა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გამართულ შეხვედრაში და ასევე განხილული იქნა „საქართველოს ზოგიერთი დაცული ტერიტორიებისათვის UNESCO -ს სტატუსის მინიჭების შესაძლებლობები“ სამუშაო დოკუმენტი.
- სააგენტომ მონაწილეობა მიიღო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფში, რომელიც აქტიურად მუშაობს „ზარალისა და ზიანის დათვლის მეთოდიკის“ მასალებზე.
- პოლონურ ჟურნალში „Folia Forestalia Polonica“ დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ბუნებრივი რესურსების მთავარი სპეციალისტის, ხათუნა წიკლაურის თანაავტორობით, იმერული მუხისა და მუხის ხარაბუზის შესახებ სტატია, სახელწოდებით „The problem of relations on the territory of Ajameti Managed Reserve“ გამოქვეყნდა.

ეკო-განათლება და ინტერპრეტაცია

2017 წლის 9 თვის განმავლობაში საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებლად დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრები, ლექცია-სემინარები, ტრენინგები, ეკო-გაკვეთილები ველზე, დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო ეკო-ტურები და სხვა სახის გარემოსდაცვითი აქტივობები.

სოციოლოგიური გამოკითხვა

2017 წლის 9 თვის განმავლობაში დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სოციოლოგიური კვლევის ცენტრის ,,გორბის”-ს მიერ მომზადებული - ,,საზოგადოებრივი აღქმისა და გავლენის მონიტორინგისა და შეფასების კითხვარის საშუალებით”.

საქართველოს დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონის მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვა საშუალებას გვაძლევს ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- მოსახლეობის ცნობიერება;
- მოსახლეობის შიში და მოლოდინი დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში;
- სარგებელი და ზარალი;
- მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი;
- დაცული ტერიტორიის განვითარების პროცესში, მენეჯმენტის გეგმაში მონაწილეობა, აღიქვამენ თუ არა ისინი, რომ წარმოადგენენ სამენეჯმენტო პროცესის შემადგენელ ნაწილს.

ალგეთის, აჯამეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ბორჯომ-ხარაგაულის, ვაშლოვანის, თბილისი, თუშეთის, კინტრიშის, კოლხეთის, ლაგოდეხის, მარიამჯვარის, მაჭახელას, მტირალას,

იმერეთის მღვიმეების, მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების, ქობულეთის, ყაზბეგის, ჯავახეთის, ფშავ-ხევსურეთის და ჭაჭუნას დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ გამოიკითხა 100 რესპოდენტი. სულ 2000-მდე რესპოდენტი. პასუხები დამუშავდა დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

საანგარიშო პერიოდში განახლდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ა(ა)იპ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს, შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს შორის და გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ახალგაზრდულ ასოციაცია "დრონ"-თან.
კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტთან.
ქობულეთის დაცული ტერიტორიებს ადმინისტრაციამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან, ქობულეთის რესურსცენტრთან, ქობულეთის მუნიციპალიტეტთან არსებულ ჯგუფთან ,, ეკოკლუბი".

პროექტები

მიმდინარეობს აჯამეთის აღკვეთილის აღდგენა-განახლება, რომელიც ტყის განვითარების 10 წლიანი გეგმის შესაბამისად ხორციელდება: იმერული მუხის და ძელქვის ნერგების დაგვა, სანერგე მეურნეობის მოწყობა „Treepex"-ის პროექტის „დარგე ხე" ფარგლებში, პაშა ბანკის ფინანსური მხარდაჭერით წითელ ნუსხაში შეტანილი იმერული და ქართული მუხის 1 000 ნერგი დაირგო.

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ მომზადდა და დაიბეჭდა წიგნი: „გაიცანი ალგეთის ეროვნული პარკი". წიგნში შეტანილია მანგლისის სკოლის მოსწავლეების თხზულებები და ილუსტრაციები. წიგნის მიზანია ახალგაზრდებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება. მასში გადმოცემულია ინფორმაცია ალგეთის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნებაზე და ასევე წარმოდგენილია სკოლის მოსწავლეებზე გათვლილი ეკოთამაშები. წიგნი მომზადდა ალგეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის მხარდაჭერით.

დაცული ტერიტორიების სააგენტოში გაიმართა ბიომრავალფეროვნების დღისადმი მიძღვნილი კვირეული, რომლის ფარგლებში დაცული ტერიტორიების სააგენტოში მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კაბინეტის, გეოეკოლოგიის წრის მოსწავლეებს ეკო-საგანმანათლებლო ლექცია-სემინარი ჩაუტარდათ. მოსწავლეებმა ინფორმაცია მიიღეს დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე, კატეგორიებზე, ზონირებაზე, ეკოტურისტულ სერვისებზე, დაცულ ტერიტორიებზე აკრძალული და დაშვებული საქმიანობების შესახებ. მოსწავლეებმა საქართველოს დაცული ტერიტორიების დაარსების შესახებ ისტორიებიც მოისმინეს. კვირეულში მონაწილეობისთვის მოსწავლეებს სერთიფიკატები გადაეცა.

კვირეულის ფარგლებში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფოიეში თბილისის 144-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ გარემოსდაცვით თემაზე შექმნილი ნახატების გამოფენა გაიმართა.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ორ ნაკადად მოეწყო ინკლუზიური ეკობანაკი. ბანაკის მიზანია მოზარდებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და მათი პრაქტიკული საქმიანობაში ჩართვა. სხვა თემებთან ერთად, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლებმა ნატო სულთანიშვილმა და მარიამ თათარაშვილმა, ეკობანაკის მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე, კატეგორიებზე, ზონირებაზე, ეკოტურისტულ სერვისებზე, დაცულ ტერიტორიებზე აკრძალული და დაშვებული საქმიანობების შესახებ. მოსწავლეებმა საქართველოს დაცული ტერიტორიების დაარსების შესახებ ისტორიებიც მოისმინეს. ბავშვებმა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების საგანმანათლებლო ბილიკიც დაათვალიერეს.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკი მოეწყო საერთაშორისო ეკობანაკი. პროექტი, საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა Erasmus-ის მიერაა დაფინანსებული და მას არასამთავრობო ორგანიზაცია „დრონი“ ახორციელებს. ბანაკში 6 ქვეყნის: ნორვეგიის, დანიის, იტალიის, ჩეხეთის, ესტონეთის და საქართველოს 35 წარმომადგენელი მონაწილეობს. პროექტის მიზანი, ევროპელ ახალგაზრდებში. ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ბუნებასთან ჰარმონიული თანაცხოვრების პოპულარიზაციაა. პროექტის ფარგლებში, ბანაკის წევრები გარდა საგანმანათლებლო საქმიანობისა, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურის განახლების სამუშაოებში არიან ჩართულნი, როგორიცაა ბილიკების რემარკირება, საცეცხლე ადგილის მოწყობა-მოპირკეთება, ტერიტორიის დასუფთავება, სასმელი წყლის ადგილის მოწყობა და ეკო-ტუალეტის აშენება.

არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-თან თანამშრომლობის საფუძველზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ბანაკს ,,აღმოაჩინე საქართველო“-ს დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელი, მარიამ თათარაშვილი ესტუმრა და ჩაუტარა სემინარი დაცული ტერიტორიების და ეკოტურისტული სერვისების შესახებ. ეკობანაკში ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის ფინალისტები იღებდნენ მონაწილეობას.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს პროექტი ,,ბექობის არწივის კონსერვაცია“. „საბუკო“-სთან ერთად პროექტში ჩართული არიან ვაშლოვანის ადმინისტრაციის თანამშრომლები და დედოფლისწყაროს #2 საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები. ამ პროექტის ფარგლებში 2017 წლის 19 მარტს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო მორიგი ღონისძიება და ჩატარდა პრეზენტაცია ბექობის არწივის შესახებ, შემდეგ კი მოხდა გასვლა ხორნაბუჯის ტერიტორიაზე, სადაც ერთობლივი ძალებით არწივებისთვის დამზადდა რამდენიმე ბუდე.

საგანმანათლებლო აქტივობები

რა? სად? როდის?

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ მომზადდა და ჩატარდა ინტელექტუალური თამაში "რა? სად? როდის?", სადაც მონაწილეობა მიიღეს დაბა მანგლისის, სოფ. თონეთის და სოფ. ორბეთის საჯარო სკოლებში შერჩეული გუნდები.

„დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველოს" ფარგლებში ალგეთის ეროვნული პარკის ინიციატივითა და ალგეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით ინტელექტუალურ შეჯიბრში „რა, სად, როდის" მონაწილე 33 მოსწავლისათვის, მასწავლებლებისათვის და მშობლებისათვის (ჯამში 53კაცი) მოეწყო ერთ დღიანი ტური ალგეთის ეროვნულ პარკს ბუნების ძეგლის "დაშბაშის კანიონის" ტერიტორიაზე და ჩატარდა დასუფთავების აქცია დაშბაშის კანიონსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.
აქვე მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს დაშბაშის კანიონის და გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ესაუბრნენ ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის რეინჯერები.

„რა? სად? როდის?" თამაში ჩატარდა ასევე ბორჯომ-ხარაგაულის, თუშეთის კინტრიშის და კოლხეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების მიერ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრს აქტიურად სტუმრობდნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები. რომლებისთვისაც ჩატარდა მცირე პრეზენტაცია საგამოფენო დარბაზში, მოსწავლეები ეცნობიან დაცული ტერიტორიების არსს, მნიშვნელობას და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნებას. ასევე ათვალიერებენ საგანმანათლებლო ბილიკზე განთავსებულ ინტერაქტიულ ინსტალაციებს.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საგანმანათლებლო შეთავაზებები მოიცავს პროგრამას სახელად: „დიალოგი გარემოსთან" - სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. პროგრამაში შესულია ეკოსაგანმანათლებლო თამაშები და პრეზენტაციები ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების ელემენტების შესახებ, სადაც სკოლამდელი ასაკის ბავშვების ენაზეა ახსნილი ეროვნული პარკის ცხოველებისა და მცენარეების მნიშვნელობა. პრეზენტაციები

შექმნილია ისეთი სახეობების შესახებ, როგორებიცაა კეთილშობილი ირემი, მურა დათვი, ფოცხვერი და არჩვი. არსებული პროგრამის შეთავაზება მოხდა სკოლამდელი დაწესებულებებისათვის, 2017 წლიდან სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელები აქტიურად სტუმრობენ ვიზიტორთა ცენტრს.

ნორჩი რეინჯერი

პროგრამა ნორჩი რეინჯერი წარმატებით ხორციელდება ალგეთის, ბორჯომ-ხარაგაულის, კოლხეთის, მაჭახელას და მტირალას დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების მიერ.

ეკობანაკები

მოხალისეთა ბანაკი მოეწყო ხუთ დაცულ ტერიტორიაზე - ლაგოდეხი, ბორჯომი, მტირალა, თუშეთი და მარტვილი. 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების პირველი კურსის სტუდენტების პროგრამის ფარგლებში დაცულ ტერიტორიებზე 10-10 დღის განმავლობაში კარვებში საველე პირობებში ცხოვრობენ. სტუდენტები ეცნობიან დაცული ტერიტორიების სპეციფიკას, ასუფთავებენ და აწესრიგებენ სარეკრეაციო ზონებს ტურისტებისთვის, მონაწილეობენ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაში, რეინჯერებთან ერთად პატრულირებენ დაცულ ტერიტორიებზე და ასევე ეხმარებიან ადგილობრივ მოსახელობას. 2017 წელს მოხალისეთა პროგრამაში დაცულ ტერიტორიებზე აგრარული და თავისუფალი უნივერსიტეტების 800-მდე პირველკურსელი სტუდენტი იღებდა მონაწილეობას.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ივლისის თვეში შპს „ეკოსკოპის“ ორგანიზებით მოეწყო საველე ბანაკი, რომელშიც თბილისის საჯარო და კერძო სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობდნენ, აღნიშნული ბანაკის მთავარ მიზანს ეკო-საგანმანათლებლო ცნობიერების ამაღლება და საველე უნარების გამომუშავებაა.

თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო ეკოვიზიის ეკობანაკი, რომლის მონაწილეებს ჩაუტარდათ სემინარი თუშეთის ბიომრავალფეროვნების შესახებ.

მიმდინარე წლის 3-5 მარტს კოლხეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის ორგანიზებით მოეწყო გოგონათა ბერდვოჩინგის ბანაკი. ასევე კოლხეთის ეროვნულ პარკთან თანამშრომლობით მოეწყო CASEE-ს ორგანიზებით გამართულ გერმანულენოვანი ეკო-ბანაკი; მშვიდობის კორპუსის ორგანიზებით გამართული „LIFE ბანაკი“ და „BUILD ბანაკი“.

ეკოსაგანმანათლებლო სტატისტიკა

სულ 2017 წლის III კვარტლის მდგომარეობით ლექცია-სემინარი გარემოს დაცვისა და დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის თემატიკით ჩაუტარდა 75 359-მდე მოსწავლესა და სტუდენტს, ჩართული იყო 4 929-მდე პედაგოგი და ჩატარდა შეხვედრა 10 358 ადგილობრივ მოსახლესთან. მოეწყო 56 კვირეული, 156 მწვანე აქცია, 2 749 ეკო ტური და 338 დასუფთავების აქცია.



2017 წლის 9 თვის მდგომარეობით სულ გარემოსდაცვით აქტივობებში ჩაერთო 91 802 ადამიანი.



ეკოსაგანმანთლებლო აქტივობებში ჩართულ ადამიანთა რიცხოვნობა ადმინისტრაციების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:



ეკოტურიზმი

2017 წლის 9 თვის განმავლობაში საქართველოს დაცულ ტერიტორიებს ესტუმრა 856 603 ვიზიტორი, რაც 2016 წლის 9 თვის მონაცემებთან შედარებით (645 193 ვიზიტორი) 33%-ით არის გაზრდილი. აქედან ქართველი ვიზიტორების რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის 57% (486 358 ვიზიტორი), ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 43%-ს (370 245 ვიზიტორი). 2017 წლის 9 თვის განმავლობაში ქართველ ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია 30%-ით, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 27%-ით.



დიაგრამა 1. ვიზიტორები დაცული ტერიტორიების მიხედვით 2017წ.



დიაგრამა 2. ვიზიტორთა რაოდენობა წლების მიხედვით 2007-2017წწ

2017 წლის 9 თვის მონაცემებით ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა პრომეთეს მღვიმეს, ყაზბეგის ეროვნულ პარკს, სათაფლიას, მარტვილისა და ოკაცეს კანიონებს.



დიაგრამა 3. ვიზიტორთა რაოდენობა თვეების მიხედვით 2017 წ.

2016 წლის 9 თვის მონაცემებთან შედარებით 2017 წლის 9 თვის მდგომარეობით ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია პრომეთეს მღვიმეზე 21%-ით, სათაფლიაზე 14% - ით, ყაზბეგის ეროვნულ პარკში 14%-ით, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში 7% -ით, ოკაცეს კანიონზე 45%-ით, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე 7%-ით, მტირალას ეროვნულ პარკში 37% -ით, ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე - 26%-ით, კოლხეთის ეროვნულ პარკში - 14%-ით, ალგეთის ეროვნულ პარკში - 73% -ით.

საერთაშორისო ვიზიტორები

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია 27 %-ით. 2017 წლის 9 თვის განმავლობაში, უცხოელ ვიზიტორთა შორის ყველაზე მეტი ესტუმრა რუსეთიდან 25%, ისრაელიდან 15%, პოლონეთიდან 9%, უკრაინიდან 6%, გერმანიიდან 5%.



დიაგრამა 4. ვიზიტორთა რაოდენობა თვეების მიხედვით 2017 წ.

2017 წლის 9 თვის მონაცემებით, 2016 წლის 9 თვესთან შედარებით შემოსავლების რაოდენობა გაზრდილია **93%**-ით. 2017 წლის 9 თვის განმავლობაში დაცული ტერიტორიების

ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა **3 948 235** ლარი, 2016 წლის 9 თვის შემოსავლებმა კი **2 050 439** ლარი.



დიაგრამა 5. ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2016-2017წწ.



დიაგრამა 6. შემოსავლები დაცული ტერიტორიების მიხედვით 2017წ.

ტურისტული სერვისებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლი ადმინისტრაციების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად: იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია 52%, მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია 42%, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია - 2%, შემოსავლების 4 % ნაწილდება კოლხეთის, ლაგოდეხის, ვაშლოვანის, ქობულეთის, მტირალას, ჯავახეთის, ჭაჭუნას, თუშეთის, კინტრიშის და ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებს შორის.

ახალი ტურისტული სერვისები და ტურისტული ინფრასტრუქტურა

ტურისტული შეთავაზებების გამრავალფეროვნების მიზნით, კოლხეთის ეროვნული პარკში, ვიზიტორთა ცენტრთან მოეწყო საკემპინგე ადგილები ავტომობილებისათვის (4 ადგილი), რომელიც აგრეთვე გულისხმობს სანიტარული კვანძითა და საპიკნიკე ადგილით სარგებლობას.

კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით აშენდა და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით მოეწყო ქობულეთის და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრი. იგი ადმინისტრაციას, ვიზიტორთა ცენტრს, საგამოფენო სივრცეს, სასტუმროს 4 ნომერს და კაფეს აერთიანებს.

2017 წლიდან პრომეთეს მღვიმეში ნავით მომსახურების სერვისი განახლდა. სერვისის მიწოდება ხორციელდება სრულიად ახალი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ნავებით.

ბორჯომის ვიზიტორთა ცენტრში მოეწყო სუვენირების მაღაზია, რომელიც უზრუნველყოფს სუვენირების, ადგილობრივი პროდუქტების და დაცული ტერიტორიების მასალების გაყიდვას.

2017 წლის სექტემბერში მარტვილის კანიონში, პრომეთესა და მელოურის მღვიმეებში დაინერგა ახალი სერვისი, სადაც ვიზიტორებს ჩაყვინთვის და წყალქვეშა სამყაროს გაცნობის შესაძლებლობა აქვთ.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე გაფართოვდა ვიზიტორთა ცენტრის კაფე, იგი იჯარით არის გაცემული და უკვე 4 სეზონზე შეუძლია უმასპინძლოს ვიზიტორებს.
ამერიკის საელჩოს დაფინანსებით განხორციელდა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების შავი კლდეების ტბის ბილიკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. **ტურისტულ თავშესაფარში "მეტეო" მოეწყო მზის მიკროელექტროსადგური.**

UNDP_GEF-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და ვიზიტორთა ცენტრის პირველი ეტაპის სამუშაოები. მთავარანგელოზის მთის ბილიკზე კი საგზაო, საინფორმაციო და მიმართულების მანიშნებელი დაფები დამონტაჟდა, მოეწყო საპიკნიკე და საკარვე ადგილები და მდინარეზე გადასასვლელი ხიდი.

თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით და დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, ლანდშაფტის ტერიტორიაზე განთავსდა საინფორმაციო მიმართულების მანიშნებელი დაფები.

მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები:

კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) დაფინანსებით მიმდინარეობს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ტურისტული ინფრასტრუქტურის განახლება, ადმინისტრაციის ეზოში ავტოსადგომის, საკემპინგე ადგილები მოწყობის, ეზოს განათების, ვიდეო მონიტორინგის და დეკორატიული ღობის მოწყობის სამუშაოები.

მიმდინარეობს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობის პროცესი, რომელიც გერმანიის მთავრობის და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KFW) მხარდაჭერით ხორციელდება. შენობაში საგამოფენო სივრცე, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი და ადმინისტრაცია განთავსდება.

ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის ძალისხმევით, პოლონეთის საელჩოსთან ერთად მიმდინარეობს ველობილიკის მოწყობა თრუსოს ხეობაში.

გერმანიის მთავრობის და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KFW) მხარდაჭერით მიმდინარეობს ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობის პროცესი.

კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) მხარდაჭერით მიმდინარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ხარაგაულის ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციისა და სასტუმრო მარელისის სარემონტო სამუშაოები.

ესტონეთის საელჩოს მხარდაჭერით თბილისის ეროვნულ პარკში ღულელების უბანზე მოეწყო საპიკნიკე ინფრასტრუქტურა, შესაბამისი სველი წერტილებით, საცეცხლე და საკარვე ადგილებით.

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს (BMZ) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) ფინანსური მხარდაჭერით, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ხის კენწეროების ბილიკის მოწყობა იგეგმება.

ხის კენწეროების ბილიკის მოწყობის სოციალურ-ეკონომიკურ დასაბუთებაზე, დეტალურ პროექტირებაზე საერთაშორისო ტენდერი "ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის" (WWF) კავკასიის წარმომადგენლობამ, ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს" - TJS-III-ის ფარგლებში გამოაცხადა.

თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან

2017 წლის 9 თვის განმავლობაში დაცულ ტერიტორიებზე არსებული სერვისების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა ტუროპერატორებს, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებს, სასტუმროებს, ბროშურები და რუკები გავრცელდა დაინტერესებულ მხარეებს შორის. გაღრმავდა ურთიერთობები სალაშქრო კლუბებსა და ფედერაციებთან.

მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა თანამშრომლობა იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) წარმომადგენლობასთან, რომლის მიზანს საქართველოს ტურისტული პოტენციალის კვლევა და შესაბამისი რეკომედაციების შემუშავება წარმოადგენდა. საქართველოს მხრიდან დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან ერთად თანამშრომლობის პროცესში ჩართულ უწყებებს წარმოადგენენ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და სხვადასხვა ტურისტული კომპანიები.

მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა თანამშრომლობა მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთან, მიზანს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ტურიზმის და აგრო გადამუშავების მიმართულებით მოქმედი მიკრო და მცირე ტიპის სამეწარმეო საქმიანობების

საჭიროებების იდენტიფიცირება და ბიზნესის სპეციფიკაზე მორგებული ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა წარმოადგენდა.

დაცული ტერიტორიების სააგენტოში დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტებთან და ვიზიტორთა მომსახურებაში ჩართულ თანამშრომლებთან ერთად გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა ვიზიტორთა მომსახურებასთან დაკავშირებული სირთულეები, რეგისტრაციისა და ონლაინ კითხვარების ფორმების გაუმჯობესების გზები. შეხვედრის მონაწილეებისათვის ჩატარდა პრეზენტაცია იაპონიაში სასწავლო ტურის განმავლობაში მიღებული გამოცდილების შესახებ.

დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას შორის გაძლიერდა თანამშრომლობა, დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა სტატისტიკური ინფორმაცია განთავსდა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2016 წლის სტატისტიკური მიმოხილვის კატალოგში.

2017 წლის 15 ივნისს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაძლიერება. შეხვედრაზე განხილულ იქნა დაცულ ტერიტორიებზე არსებული ეკოტურისტული სერვისები და დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები.

2017 წლის 9 თვის განმავლობაში დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით და ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს მხარდაჭერით გაიმართა ინფო ტურები 5 დაცულ ტერიტორიაზე, რომლის ფარგლებშიც ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები ტურისტულ პროდუქტებს ოკაცესა და მარტვილის კანიონებზე, კოლხეთის ეროვნულ პარკში, ბორჯომ-ხარაგაულისა და ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე გაეცნენ. მოეწყო პრეზენტაციები, ფრინველებზე დაკვირვება, ველო, საცხენოსნო და სანაოსნო ტურები.

მიმდინარე წლის 29 ივნისს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით მაჭახელას ეროვნულ პარკში მთავარანგელოზის ბილიკზე ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებისთვის და გიდებისთვის ინფო ტური მოეწყო, რომლის მიზანს მაჭახელას ეროვნული პარკის უკეთ გაცნობა, ბილიკების და არსებული ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციის გაცნობა წარმოადგენდა.

2017 წლის 24 სექტემბერს თბილისის ეროვნულ პარკში მოეწყო ღამის ველო-ტური („საბადურობა”), რომელიც დაიწყო გლდანში (ქერჩის ქუჩა) და დასრულდა საბადურის ტყეში. მონაწილეებმა 30 კმ-იანი რთული გზა გაიარეს. თბილისის ეროვნულ პარკში ველო-ტური უკვე მე-6 წელია იმართება და მისი მიზანი ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციაა.

სტრატეგიები და მენეჯმენტის გეგმები

„დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში-საქართველო“ (2014-2019) პროექტის ფარგლებში მომზადდა ალგეთის, ყაზბეგის, ფშავ-ხევსურეთის და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ტურიზმის განვითარების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები, რომელთა შემუშავების პროცესში გაიმართა სამუშაო შეხვედრები როგორც დაცული ტერიტორიების სააგენტოში ასევე დაცული ტერიტორიების შესაბამის ადმინისტრაციებში.

„დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში-საქართველო“ (2014-2019) პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ალგეთის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესი, რომლის ფარგლებშიც გაიმართა სამუშაო შეხვედრები როგორც ადმინისტრაციაში ასევე დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

გაერთიანებული სამდივნოს (TJS)-ის მხარდაჭერით შემუშავდა დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების სტრატეგიის რეგიონული სტანდარტი, რომელიც წარმოადგენს ტურიზმის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის სახელმძღვანელო დოკუმენტს. აღნიშნული დოკუმენტის გათვალისწინებით მომზადდა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა და მიმდინარეობს ტურიზმის მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავების პროცესი. სტრატეგიის შემუშავებაში შესაბამის ექსპერტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო სამუშაო ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ტერიტორიული ადმინისტრაციების, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, CNF-ის და SPPA-ის წარმომადგენლებისგან. სამუშაო შეხვედრები გაიმართა როგორც თბილისში, ასევე ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში.

კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) მხარდაჭერით მიმდინარეობს მტირალას ეროვნული პარკის ეკოტურისტული პოტენციალის შეფასების პროცესი.

ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს მხარდაჭერით (TJS) მხარდაჭერით მიმდინარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის განახლების პროცესი, შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოწვეულ ექსპერტთნ ერთად მუშაობს აღნიშნულ სტრატეგიასტან დაკავშირებით.

2019 წლის 9 თვის განმავლობაში გაიმართა სამუშაო შეხვედრები ტრანსსასაზღვრო ტურისტული პროდუქტის შექმნასთან დაკავშირებით, სადაც დაცული ტერიტორიების თანმშრომლების გარდა ესწრებოდნენ ტურისტული სააგენტოების და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფმა განიხილა

ერთიანი ტურისტული პროდუქტის შექმნის შესაძლებლობები საქართველო - სომხეთისა და საქართველო - აზერბაიჯანის ეროვნული პარკებისათვის.

განხორციელებული აქტივობები

2017 წლის 9 თვის განმავლობაში დაიგეგმა და მომზადდა ტექნიკური რეგლამენტის „საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ“ გათვალისწინებით დაცული ტერიტორიების მიხედვით, საინფორმაციო და მიმართულების მაჩვენებელი დაფების შესახებ ინფორმაცია, რომლის შესაბამისად დამზადდება შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა გამოკითხვის შედეგები









ადგილობრივი მოსახლეობის სარგებელის ანალიზი

დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2017 წლის 9 თვის განმავლობაში (**1 106** ადგილობრივი) 2016 წლის 9 თვის მონაცემებთან (1 229 ადგილობრივი) შედარებით გაზრდილია **11%**-ით.





2017 წლის 9 თვის განმავლობაში 2016 წლის 9 თვის მონაცემებთან შედარებით დაცული ტერიტორიების მიმდებარედ საოჯახო სასტუმროების რაოდენობა გაზრდილია **51%**-ით, მაღაზიების რაოდენობა **29%**-ით, კვების ობიექტების რაოდენობა **98%**-ით.



დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მიღებულმა შემოსავლებმა 2017 წლის 9 თვის განმავლობაში შეადგინა 503 454 ლარი, რაც 2016 წლის 9 თვის მონაცემებთან შედარებით 15%-ით არის გაზრდილი.

მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

სტრატეგიული მართვა

დაცული ტერიტორიების და საქართველოს ეროვნული პარკების ბრენდის პლატფორმის შემუშავება

2017 წლის აპრილი-ივლისის პერიოდში მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ შემუშავდა დაცული ტერიტორიების ბრენდის პლატფორმა. შემუშავებაში და განხილვებში მონაწილეობას იღებდნენ როგორც სამსახურის თანამშრომლები, ასევე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი, მინისტრის მოადგილე ეკატერინე გრიგალავა, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე დავით მარკოზაშვილი, სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეები და სხვა სამსახურების წარმომადგენლები. შემუშავებული დოკუმენტი განხილულ იქნა დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდამჭერი დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. საბოლოოდ მომზადებული დოკუმენტით განისაზღვრა, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტოს საქმიანობა საჯარო კომუნიკაციაში გაიყოს ორ ბრენდად:

1. დაცული ტერიტორიების სააგენტო - ამ ბრენდის ქვეშ კომუნიკაცია განხორციელდება ადმინისტრაციული საქმიანობის, ბიომრავალფეროვნების დაცვა-კონსერვაციის, ეკოსაგანმანათლებლო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების მიმართულებით.
2. საქართველოს ეროვნული პარკები - ამ ბრენდის ქვეშ კომუნიკაცია განხორციელდება დაცულ ტერიტორიებზე არსებული ეკო ტურისტული მიმართულებით.

ბრენდის პლატფორმის დოკუმენტების განისაზღვრა დაცული ტერიტორიების სააგენტოს და საქართველოს ეროვნული პარკების ბრენდის მისია, ხედვა, ღირებულებები, სამიზნე ბაზრები, ბრენდის სლოგანი და ბრენდის სხვა სტრატეგიული შემადგენლები.

დაცული ტერიტორიების/საქართველოს ეროვნული პარკების მარკეტინგული კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება (პროცესი დაიწყო სექტემბერში-დამთავრდა ნოემბერში).

ბრენდის პლატფორმაზე დაყრდნობით შემუშავდა საქართველოს დაცული ტერიტორიების მარკეტინგული კომუნიკაციების სტრატეგია. სტრატეგიის მომზადება განხორციელდება TJS-ის მიერ, შემუშავების პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, ასევე სხვა სამსახურების წარმომადგენლები. სტრატეგიის შემუშავებისთვის გამოყენებულ იქნა, როგორც ბაზრის კვლევის ანგარიშები, ასევე ტურიზმის და ეკო ტურიზმის საერთაშორო ტენდენციების ანალიზი.
სტრატეგიით განისაზღვრა, დაცული ტერიტორიების მარკეტინგის შემდეგი საკითხები:

1. მარკეტინგის გუნდის საქმიანობის მთავარი სტრატეგიული პრინციპები
2. დაცული ტერიტორიების სააგენტოს როლი საქართველოს ტურიზმის სექტორში
3. დაცული ტერიტორიების სააგენტოს მარკეტინგის ეფექტურობის ინდიკატორები
4. 2018-2023 მარკეტინგის მიზნები, სტრატეგიები და ამოცანები
5. პრომოციის სტრატეგია
6. სტრატეგიული/ქოლგა კამპანიები
7. და სხვა სტრატეგიული მარკეტინგული ნაწილები

სტრატეგიის მიხედვით, მიმდინარეობს მარკეტინგული კომუნიკაციების სამოქმედო გეგმის შემუშავება.

საქართველოს ეროვნული პარკების ვიზუალური აიდენტიკის და ბრენდის ვიზუალური სტილისტიკის სახელმძღვანელოს შექმნა (brand book)
(სექტემებრში დასრულდა ლოგო და ვიზუალური სტილისტიკის პირველი ნაწილი. სრულად უახლოეს მომავალში დასრულდება)

ბრენდის პლატფორმის და მარკეტინგული სტრატეგიის მიხედვით შექმნილი ახალი ბრენდის - საქართველოს ეროვნული პარკებისთვის საჭირო გახდა ვიზუალური ბრენდინგი. ვინადიან, შეუძლებელი იქნებოდა ორი ბრენდის შესახებ ერთიდაიგივე ვიზუალური მასალით კომუნიკაცია. ამიტომ, TJS-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა ვიზუალური ბრენდინგი, ლოგო და ბრენდის ვიზუალური სტილისტიკა.

საქართველოს ეროვნული პარკები
National Parks of Georgia

დაცული ტერიტორიების განვითარების საინვესტიციო კონცეფციების შექმნა

ბრენდპლატფორმის და მარკეტინგული სტრატეგიის თანახმად, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ტერიტორიების ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. ეკოტურიზმის განვითარებისთვის, ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობის და შემოსავლების ზრდისთვის აუცილებელია ტერიტორიების განვითარება წინასწარ დაგეგმილი, ერთიანი კონცეფციით. მიზნების მისაღწევად, შეიქმნა საინვესტიციო კონცეფციები 12 ტერიტორიისთვის (ალგეთის ეროვნული პარკი, დაშბაშის კანიონი, თბილისის ეროვნული პარკი, კოლხეთის ეროვნული პარკი, მაჭახელას ეროვნული პარკი, სათაფლია, ყაზბეგის ეროვნული პარკი, ცხრაჯვარი და ჯავახეთის დაცული ტერიტორიები).

საქართველოს ეროვნული პარკების ვებ გვერდის კონცეფციის შემუშავება

ახალი ბრენდის შექმნის და დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული შესაძლებლობების უკეთესი კომუნიკაციის მიზნით, საჭირო გახდა ახალი ვებ გვერდის შექმნა, რომელზეც განთავსდება მხოლოდ ეკოტურისტული თემატიკის ინფორმაცია. ვებ გვერდის დამზადებისთვის შემუშავდა კონცეფცია და TJS-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდება ვებ გვერდის შექმნა.

მომხმარებლის კმაყოფილების კვლევა

დაცულ ტერიტორიებზე არსებული ეკოტურისტული სერვისების შესაფასებლად, 2017 წლის ზაფხულში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაკვეთით, მონაცემთა კვლევის ჯგუფმა ვიზიტორთა კმაყოფილების კვლევა 4 დაცულ ტერიტორიაზე (მარტვილის და ოკაცეს კანიონები; სათაფლიის და პრომეთეს მღვიმეები) ჩაატარა და კვლევის პროცესში გამოიკითხა 238 რესპოდენტი.

კვლევის პრეზენტაცია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში გაიმართა. კვლევის შედეგები საზოგადოებას დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ, დავით მარკოზაშვილმა და მონაცემთა კვლევის ჯგუფის წარმომადგენელმა, ლაშა გულბიანმა წარუდგინეს.

ღონისძიებები

ქობულეთის და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის და ვიზიტორთა ცენტრის გახსნა

ქობულეთში, ქობულეთისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია და ვიზიტორთა ცენტრი აშენდა. ვიზიტორების და საზოგადოების ინფორმირებისთვის, ჩატარდა შენობის გახსნის ღონისძიება. შენობა მინისტრის მოადგილე, ეკატერინე გრიგალავამ აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან, ზურაბ პატარაძესთან ერთად გახსნა.

ვიზიტორთა ცენტრის გახსნის ცერემონიას საქართველოს მთავრობის, დონორი ორგანიზაციების, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, პარლამენტის და აჭარის მთავრობის წევრები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობის გახსნა

ყაზბეგში, დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრი შენდება. საზოგადოების და დონორების ინფორმირებისთვის, მოეწყო მშენებლობის დაწყების აღსანიშნავი ღონისძიება. მშენებლობას საფუძველი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარესთან დავით მარკოზაშვილთან ერთად ჩაუყარა.ღონისძიებას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KFW) სამხრეთ-კავკასიის ოფისის დირექტორი კლაუს ვაიგელი, ადგილობრივი ხელისუფლების და სხვა დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

3.3. მე-19 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა

დაცული ტერიტორიების სააგენტო თბილისის მე-19 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა. გამოფენა 27 აპრილს, საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ გაიხსნა და 29 აპრილამდე გაგრძელდა. დაცული ტერიტორიების სააგენტომ დამთვალიერებლებს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ინტერაქტიულ საგამოფენო პავილიონი წარმოუდგინა. გამოფენის სტუმრები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე არსებულ სერვისებს გაეცნენ. სპეციალურად გამოფენისთვის, ახალი საპრომოციო მასალები მომზადდა.

დაცული ტერიტორიების საგამოფენო სტენდზე წარმოდგენილი იყო ვირტუალური რეალობის სათვალეები (VR Oculus rift), რომლის დახმარებითაც, დამთვალიერებლები 3 დაცულ ტერიტორიაზე - მარტვილის და ბირთვისის კანიონებზე და ვაშლოვანის ეროვნულ პარკში ვირტუალურ რეალობაში იმოგზაურეს. ვიდეო რგოლები 360 გრადუსიანი ხედვის მქონე, უახლესი ტექნოლოგიების კამერებითაა გადაღებული. დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ ფოტო-სურათები სპეციალურად მოწყობილ მღვიმის სფერულ ინსტალაციაში და ნავში გადაეღოთ.

გამოფენაში მონაწილეობა მიიღო როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ასევე სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებმა. ღონისძიებაში დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან ერთად მონაწილეობდნენ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

საერთაშორისო ტურისტული გამოფენა ბათუმში

დაცული ტერიტორიების სააგენტო ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე–10 საერთაშორისო გამოფენა "EXPO BATUMI TRAVEL 2017"-ში მიიღო მონაწილეობა. გამოფენა სასტუმრო „შერატონში“ 12 მაისს გაიხსნა და 14 მაისამდე გაგრძელდა.

გამოფენის გახსნას დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე დავით მარკოზაშვილი, თავმჯდომარის მოადგილეები - თომა დეკანოიძე და გიორგი დოლიძე დაესწრნენ.

დაცული ტერიტორიების სააგენტომ დამთვალიერებლებს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, ინტერაქტიულ საგამოფენო პავილიონი წარმოუდგინა. გამოფენის სტუმრები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე არსებულ სერვისებს გაეცნენ.

დაცული ტერიტორიების საგამოფენო სტენდზე წარმოდგენილი იყო ვირტუალური რეალობის სათვალეები (VR Oculus rift), რომლის დახმარებითაც, დამთვალიერებლები 7 დაცულ ტერიტორიაზე - ოკაცეს, კოლხეთის, მაჭახელას, მტირალას, მარტვილის, ალგეთის და ვაშლოვანის ეროვნულ პარკში ვირტუალურ რეალობაში იმოგზაურეს. ვიდეო-რგოლები 360 გრადუსიანი ხედვის მქონე, უახლესი ტექნოლოგიების კამერებითაა გადაღებული.

დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ ფოტო-სურათები სპეციალურად მოწყობილ მღვიმის სფერულ ინსტალაციაში და ნავში გადაეღოთ. გამოფენაში 10 - მდე ქვეყნის 20 კომპანია მონაწილეობდა.

3.5. ჯილდოები და სერტიფიკატები

- ✓ თბილისის მე-19 საერთაშორისო ტურისტული გამოფენის დამთავლიერებლებმა დაცული ტერიტორიების სააგენტო ორ ნომინაციაში გამარჯვებულად დაასახელეს: საუკეთესო სტენდის დიზაინი და ეფექტური კომუნიკაცია

- ✓ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მე–10 საერთაშორისო გამოფენაზე "EXPO BATUMI TRAVEL 2017", ყველაზე კრეატიული სტედნის სერთიფიკატი გადაეცა.

წიგნის დღე

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით „გაიცანი ალგეთის ეროვნული პარკი“ წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩხეიძე, დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის უფროსი ნატო სულთანიშვილი და ალგეთის ეროვნული პარკის დირექტორი ავთანდილ მჭედლიძე.

წიგნის მიზანია ახალგაზრდებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება. მასში გადმოცემულია ინფორმაცია ალგეთის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნებაზე, და ასევე წარმოდგენილია სკოლის მოსწავლეებზე გათვლილი ეკო თამაშები.

ეკო-ბანაკი

დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე დავით მარკოზაშვილი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკის მონაწილეებს შეხვდა. დავით მარკოზაშვილი ბანაკის წევრებს ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობაზე, გარემოს დაცვაზე და ამ საქმეში ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობაზე ესაუბრა.

პროექტი, საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა Erasmus-ის მიერაა დაფინანსებული და მას არასამთავრობო ორგანიზაცია „დრონი“ ახორციელებს. ბანაკში 6 ქვეყნის: ნორვეგიის, დანიის, იტალიის, ჩეხეთის, ესტონეთის და საქართველოს. 35 წარმომადგენელი მონაწილეობს.

საქართველო-გერმანიის მეგობრობის 25 წელი

დაცული ტერიტორიების სააგენტომ გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (KfW) ერთად საქართველოსა და გერმანიას შორის არსებული თანამშრომლობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ აღნიშნულ ღონისძიებაზე წარმოდგენილი ჰქონდა ვირტუალური რეალობის სათვალეები (VR Oculus rift), რომლის დახმარებითაც, დამთვალიერებლებმა 7 დაცულ ტერიტორიაზე - ოკაცეს, კოლხეთის, მაჭახელას, მტირალას, მარტვილის, ალგეთის და ვაშლოვანის ეროვნულ პარკში ვირტუალურ რეალობაში იმოგზაურეს. ვიდეო-რგოლები 360 გრადუსიანი ხედვის მქონე, უახლესი ტექნოლოგიების კამერებით იყო გადაღებული. ღონისძიებაზე აგრეთვე წარმოდგენილი იყო დაცული ტერიტორიების საინფორმაციო-საპრომოციო მასალები.

დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვის კურსდამთავრებულების დაჯილდოვება

დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვის კურსის წარმატებით დასრულებისთვის სერტიფიკატები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა, სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ჩხეიძემ და აშშ-ს შინაგანი დეპარტამენტის წარმომადგენელმა საქართველოში პაატა შანშიაშვილმა დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლებს გადასცეს.

რეინჯერების პროფესიული დღე

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ, ეკატერინე გრიგალავამ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარესთან, დავით მარკოზაშვილთან ერთად, რეინჯერებს პროფესიული დღე მიულოცა.

დაცული ტერიტორიების დაცვასა და განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობის სიგელებით და ფულადი პრემიით 37 რეინჯერი დაჯილდოვდა. ასევე, კომპენსაცია გადაეცათ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული რეინჯერების ოჯახებს. 31 ივლისი რეინჯერთა მსოფლიო დღეა და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაშავებულ, თუ გარდაცვლილ რეინჯერთა ხსოვნას ეძღვნება.

ველო ტური თბილისის ეროვნულ პარკში

დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ, დავით მარკოზაშვილმა ღამის ველო-ტურში"საბადურობა" მიიღო მონაწილეობა. ველო ტური გლდანში, ქერჩის ქუჩაზე დაიწყო და თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, საბადურის ტყეში დასრულდა.

მონაწილეებმა 30-კმიანი რთული გზა გაიარეს. საბადურის ტყეში მათთვის პიკნიკი და ელექტრონული მუსიკის საღამო მოეწყო. თბილისის ეროვნულ პარკში ველო-ტური უკვე მე-6 წელია იმართება და მისი მიზანი ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციაა.

საფასო პოლიტიკა

ფასების შეცვლა

არსებული საფასო პოლიტიკის ანალიზის და ტურისტულ ობიექტებზე არსებული ფასების განხილვის შედეგად, დადგინდა რომ დაცულ ტერიტორიებზე შესვლის გადასახადი იყო ნაკლები.

ასევე, ტერიტორიებზე ჩატარებბული ვიზიტორთა კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზისას, გამოიკვეთა რომ ფასების ზრდის შემთხვევაში, ვიზიტორები კვლავ ესტუმრებოდნენ დაცულ ტერიტორიებს.

აქედან გამომდინარე, ყველაზე პოპულარულ დაცულ ტერიტორიებზე დადგინდა ახალი ფასთა პოლიტიკა, რომელიც ემყარება მსოფლიო პრაქტიკას და მოიაზრებს საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დიფერენცირებულ ფასებს.

კომბო ბილეთები

გაყიდვების სტიმულირებისათვის, შემუშავდა კონცეფცია. რის მიხედვითაც დამზადდა კომბო-ბილეთები საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის.

კომბო ბილეთის მეშვეობით, ტურისტები 4 დაცულ ტერიტორიაზე ვიზიტის შემთხვევაში, ფასდაკლებით სარგებლობენ.

ვიზიტორებისა და შემოსავლების სტატისტიკა

2016-2017 წწ

აგვისტოდან სექტემბრის ჩათვლით

ვიზიტორები		
2016 წ. აგვისტოდან ოქტომბრის ჩათვლით	340055	ზრდა 24%
2017წ. აგვისტოდან ოქტომბრის ჩათლით	422069	
2016წ აგვისტო	184753	ზრდა 27%
2017წ აგვისტო	234837	
2016წ სექტემბერი	96222	ზრდა 29%
2017წ სექტემბერი	123752	

შემოსავლები		
2016 წ. აგვისტოდან ოქტომბრის ჩათვლით	1121780	ზრდა 124%
2017წ. აგვისტოდან ოქტომბრის ჩათვლით	2517620	
2016წ აგვისტო	596623	ზრდა 93%
2017წ აგვისტო	1149188	
2016წ სექტემბერი	347274	ზრდა 178%
2017წ სექტემბერი	968480	

ახალი პროდუქტები

დაცული ტერიტორიების ეკოტურისტულად განვითარებისთვის და ვიზიტორთათვის ატრაქციების მრავალფეროვნებისათვის ტერიტორიებს დაინერგა ახალი პროდუქტები. კერძოდ,

- ✓ ექსტრემალური ტურები - ყვინთვა მარტვილის კანიონზე და პრომეთეს მღვიმის სიფონში
- ✓ სპელეო ტური მელოურის მღვიმეში

სარეკლამო ღონისძიებები და საინფორმაციო მასალები

- ✓ მედია-მონიტორინგის შედეგად, დადგინდა რომ 2017 წლის პირველ 9 თვეში, დაცული ტერიტორიების შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში 800-მდე საინფორმაციო მასალა გადაიცა

- ✓ ტ/კ იმედის, გადაცემა იმედის დღის რუბრიკის „საიმედო ტურის“ ფარგლებში, გადაცემები მოამზადა 11 დაცული ტერიტორიის შესახებ - ლაგოდეხის, ვაშლოვანის, მარტვილის, ბორჯომ-ხარაგაულის, კოლხეთის, მაჭახელას, მტირალას, ოკაცეს კანიონის, სათაფლიის, თუშეთისა და ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შესახებ.

საჯარო ინფორმაცია

მიმდინარე წლის, პირველ 9 თვეში მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, 127 წერილი შემოვიდა. ყველა მათგანს გაეცა პასუხი, კანონით დადგენილ ვადებში.

სარეკლამო ინსტალაციები და მასალები

- ✓ მომზადდა პრომეთეს მღვიმის ინსტალაცია
- ✓ მომზადდა მარტვილის კანიონის დასადგამი ბანერი
- ✓ დაცულ ტერიტორიებზე არსებული სერვისების შესახებ მომზადდა 9 000 ფლაერი
- ✓ განხორციელდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს კუთვნილი გარე სარეკლამო ბანერების დაზიანებული კონსტრუქციების რეკონსტრუქცია.



სოციალური ქსელი

იანვარი-სექტემბრის თვეებში სოციალურ მედიაში გახარჯული ბიუჯეტი

საქართველოში დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის, ეკოტურიზმის განვითარებისა და ტურისტების მოზიდვა-დაინტერესების მიზნით, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური დაცულ ტერიტორიების შესახებ სოციალური ქსელის მეშვეობით ინფორმაციას მუდმივად ავრცელებს.

წარმოგიდგენთ, Facebook-ზე,Instagram-ზე, Youtube-სა და ვებ-გვერდზე შემოსული ვიზიტორების, ლაიქების, კომენტარების, ვიდეობის ნახვისა და საიტზე დაბრუნებული ვიზიტორების რაოდენობას.

Facebook

1. ლაიქების რაოდენობა - 11 500
2. ვიდეოს ნახვა - 1,620,901, 846.200 წუთი
3. Post Reach - თვეში საშუალოდ 840 000
4. Page Previews - თვეში 2000
5. Page Views - თვეში საშუალოდ 3000
6. გვედის მომხმარებლები სქესი და ასაკი



Country	Your Fans	City	Your Fans	Language	Your Fans
Georgia	88,437	Tbilisi, Georgia	60,133	Georgian	60,252
Azerbaijan	955	Kutaissi, Imereti, Georgia	4,222	English (US)	19,215
Germany	946	Batumi, Adjara, Georgia	3,992	English (UK)	9,209
United States of America	818	Rustavi, Shida Kartli, G...	3,286	Russian	6,255
Turkey	792	Vazisubani, Tbilisi, Geo...	1,628	German	612
Italy	760	Gori, Shida Kartli, Geor...	1,436	Turkish	586
Greece	621	Telav, Kakheti, Georgia	1,225	Azerbaijani	422
Brazil	525	Varketili, Tbilisi, Georgia	1,056	French (France)	279
Russia	490	Zugdidi, Samegrelo-Ze...	928	Italian	199
Israel	353	Baku, Azerbaijan	624	Greek	109

Youtube

1. ნახვები - 100 600
2. ნახვის დრო - 165 187 წუთი
3. გამოწერები - 237
4. ლაიქი - 566
5. დისლაიქი - 12
6. კომენტარი - 12
7. გაზიარება - 560



ვებ-გვერდი

1. უნიკალური ვიზიტორი - 156,826
2. გვერდების ნახვა - 619,196
3. ვებ-გვერდზე დარჩენის დრო (საშუალო) - 3:08 წთ
4. დაბრუნებული ვიზიტორი 36.2 %
5. ახალი ვიზიტორი 63.8 %

რეკლამა

1. Reach - 502 278
2. Impressions - 1,282,474
3. Talking - 159,488
4. Post engagement - 251,446

ქვეყნები სადაც დაცული ტერიტორიების რეკლამა გავრცელდა სოციალური მედიის საშუალებით

1. გერმანია
2. ისრაელი
3. პოლონეთი
4. თურქეთი

ინსტაგრამზე აღნიშნულ 4 ქვეყანაში გაშვებული რეკლამიდან ჯამში 7703 ლაიქი დაგროვდა.

ქვეყნები შეირჩა სტატისტიკის მიხედვით, რომელი ქვეყნებიდანაც ყველაზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა დაცულ ტერიტორიებს.

ბიუჯეტი - $ 360, 52

ვიდეო-რგოლები

დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციისთვის მომზადდა უახლესი ტექნოლოგიების შესაბამისი, 360 გრადუსიანი პანორამული ხედვის ვიდეო რგოლები 7 დაცული ტერიტორიის შესახებ: ოკაცეს კანიონი, კოლხეთი, მაჭახელა, მტირალას ეროვნული პარკი, მარტვილის კანიონი, ალგეთის ეროვნული პარკი, ვაშლოვანის ეროვნული პარკი და ბირთვისის კანიონი.

უნდა აღინიშნოს, რომ კლიპები პოპულარობით სარგებლობს იუთუბის არხებს. საძიებო ველში შესაბამისი სიტყვების ჩაწერისას, საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე მომზადებული კლიპი პირველ გვერდზეა განთავსებული.



საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახური

ეკორეგიონული კონსერვაციის პროგრამა სამხრეთ კავკასიაში: დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველო

(ალგეთის, კინტრიშის, ყაზბეგის, და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიებისათვის)

- მიმდინარეობს ყაზბეგის, ფშავ-ხევსურეთის, კინტრიშის და ალგეთის დაცული ტერიტორიების ტურიზმის სტრატეგიების, სამოქმედო და საინვესტიციო გეგმების შემუშავება;
- გრძელდება ალგეთის ეროვნული პარკისათვის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება;
- მიმდინარეობს მუშაობა ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების დემარკაციაზე;
- გრძელდება ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და ვიზიტორთა შენობის მშენებლობა;
- გრძელდება ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და ვიზიტორთა შენობის მშენებლობა;
- შეთანხმდა ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის შატილის შენობის დიზაინი დონორთან და სააგენტოსთან და დაიწყო ადმინისტრაციის შენობების (შატილსა და კორშაში) შესყიდვის პროცედურის მომზადება;
- ჯგგჯდაიწყო მზადება (ტექნიკური დავალება, საერთაშორისო ექსპერტის შერჩევა) ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და საკონსერვაციო ღონისძიებების კომპონენტის დაწყებისათვის;
- დაიგეგმა და ხორციელდება დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების საზოგადოებასთან ურთიერთობის/PR-სა და საგანმანათლებლო ღონისძიებები;
- გარემოსდაცვითი განათლების ცენტრის კომპონენტის ფარგლებში დაიწყო დაცული ტერიტორიების საინფორმაციო/საგანმანათლებლო ცენტრის მოწყობის პროცესი (მოლაპარაკება თბილისის მერიასთან რიყის პარკში ცენტრის განთავსებისათვის, მომზადდა და განხილვის პროცესშია შენობის კონცეფცია);
- განხორციელდა ალგეთის, ყაზბეგის, კინტრიში და ფშავ-ხევსურეთის გაცნობითი ვიზიტი მარტვილის კანიონში;
- გრძელდება რეგიონული მრჩეველთა საბჭოების (RAC) გაძლიერების მხარდაჭერა;
- გრძელდება მეგობართა ასოციაციების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება;
- განხორციელდა მყისიერი დაწყების მექანიზმების (QSM) მეორე ეტაპი ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიებისთვის (შატილის სახლების გადახურვა);
- დაიწყო ფინანსური თანამონაწილეობითი მიდგომის (FPA) კომპნენტის მესამე ციკლის ღონისძიებების განხორციელება სამიზნე დაცული ტერიტორიების მიმდებარე თემებში;

- დაიწყო ინდივიდუალური საპროექტო წინადადებების (IPP) კომპონენტის განხორციელება სამიზნე დაცული ტერიტორიების მიმდებარე თემებში;
- გაგრძელდა მონაცემთა ბაზის Triple I-ის შემუშავება;
- შემუშავდა სარეკომენდაციო დოკუმენტი ,,დაცული ტერიტორიების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების პროცესების ოპტიმიზაცია, დაცული ტერიტორიების ქონების მართვის გაუმჯობესება და მიღებული შემოსავლების ეფექტურად გადანაწილება“;
- გრძელდება პრომეთეს მღვიმის საგამოფენო დარბაზის მოწყობა;
- გრძელდება დუშეთის მუნიციპალიტეტში დაცული ლანდშაფტის შექმნის მიზნით კანონპროექტის შემუშავება;
- დაიწყო კვლევის ‘ტურიზმის ეკონომიკური ზეგავლენა საქართველოს შერჩეულ დაცულ ტერიტორიებზე’ დაგეგმვა (ტექნიკური დავალება, კითხვარი, კომპანიების მოძიება)

ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნო (TJS)

- მოხდა მეთოდოლოგიის შემუშავება დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის (FPA)
- დასრულდა მუშაობა დაცული ტერიტორიებისთვის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების სახელმძღვანელო დოკუმენტზე, რომლის საფუძველზეც მომზადდა ლაგოდეხის დტ-ს ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- დასრულდა მუშაობა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ტურიზმის განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე
- მოხდა დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების მხრივ საჭირო ტრენინგების იდენტიფიცირება.
- დასრულდა მუშაობა დაცული ტერიტორიებისთვის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების სახელმძღვანელო დოკუმენტზე, რომლის საფუძველზეც მომზადდა ლაგოდეხის დტ-ს ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- მიმდინარეობს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის მარკეტინგის სტარტეგიაზე მუშაობა,რომელიც მზად იქნება 2017 წლის ოქტომბრის ბოლოს.
- მიმდინარეობს მუშაობა ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნული პარკის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განახლებაზე სახელძღვანელო დოკუმენტის შესაბამისად;
- 19- 28 აპრილს განხორციელდა სასწავლო ტური გერმანია-იტალიის ტრანსსასაზღვრო დაცულ ტერიტორიებზე
- ეკორეგიონალური კონსერვაციის გეგმის განახლების მიზნით, მოეწყო რეგიონალური სამუშაო შეხვედრა ექსპერტებისთვის. შეხვედრას ესწრებოდნენ სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის და რუსეთის წარმომადგენლები.

- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მოეწყო შეხვდრა ირანის სამთავრობო სტრუქტურების და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან
- მიმდინარეობს მუშაობა კონსოლიდირებულ ანგარიშზე, რაც გულისხმობს თითოეული ქვეყნის მიერ გეგმის განხორციელების შეფასებას, ქმედებების გაცხრილვას და მხოლოდ რეგიონალური და ტრანსასაზღვრო პოტენციალის მქონე აქტივობების დატოვებას, კლიმატის ცვლილების ასპექტების გათვალისწინებას
- ჯავახეთის და ტბა არფის ეროვნულ პარკებს შორის ბიომრავალფეროვნების ტრანსსასაზღვრო მონიტორინგის მიზნით, ჩატარდა პრაქტიკული ორნითოლოგიური ტრენინგები ჯავახეთის დტ-ის ადმინისტრაციის რეინჯერებისთვის. შემუშავდა ერთობლივი მეთოდოლოგია, შეირჩა სამინიტორინგო სახეობები, ორივე პარკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები და შეძენილი იქნა მონიტორინგისთვის საჭირო აღჭურვილობა;
- ვაშლოვანის ეროვნულ პარკში მიმდინარეობს ჯეირნების მონიტორინგი, მზადდება ყოველთვიური ანგარიში, რომელიც იგზავნება დაცული ტერიტორიების სააგენტოში;
- მომზადა სატენდერო დოკუმენტაცია და KFW-ს წესების შესაბამისად გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერი ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ხის კენწეროების ბილიკის

  ტექნიკური განხორციელებადობის ანალიზზე (Feasibility study), დიზაინზე და დეტალურ არქიტექტურულ ნახაზებზე. სატენდერო განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 13 ნოემბერი;
- მომზადდა დაცული ტერიტორიების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- შეძენილი იქნა ნავის მოტორები პრომეთეს მღვიმისთვის;
- აღდგენილი იქნა ხანძრის შედეგად დაზიანებული აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაციის შენობა;
- მომზადდა თბილისის ეროვნული პარკის ტოპო რუკა;
- დაფინანსდა ტუროპერატორების ტური დაცულ ტერიტორიებზე;
- ჩატარდა ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ინაუგურაცია ჯავახეთის (საქართველო) და ტბა არპის (სომხეთი) დაცულ ტერიტორიებს შორის. ღონისძიება მოეწყო საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე. ღონისძიებას დაესწრნენ ორივე ქვეყნის გარემოს დაცვის სამინისტროების წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსი და საერთაშორისო ორგანიზაცები;
- ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებსა და ზაქათალას ნაკრძალს შორის ბიომრავალფეროვნების ტრანსსასაზღვრო მონიტორინგის დაწყების მიზნით მოეწყო პირველი სამუშაო შეხვედრა ორივე დაცული ტერიტორიების წარმომადგენლების და ექსპერტების მონაწილეობით.

CNF/დაცული ტერიტორიების სააგენტო - ათი დაცული ტერიტორიისათვის საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება

- დასრულდა კავკასიის ბუნების ფონდის მიერ დაფინანსებული სამი დაცული ტერიტორიის (თუშეთი, ვაშლოვანი და მტირალა) 2016 წლის საგრანტო ბიუჯეტების ფინანსური აუდიტი და მომზადდა საბოლოო ანგარიში. განმახორციელებელი LLC KPMG Georgia;
- მომზადდა ცლილება და ხელი მოეწერა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის 2017 წლის განახლებულ საგრანტო ბიუჯეტს;
- მომზადდა 10 დაცული ტერიტორიის 2017 წლის იანვარ-ივლისის დანახარჯების ფაქტიური ანგარიშები. საბოლოო ხელმოწერილი ბიუჯეტების შეთანხმება მოხდება ოქტომბერში;
- მიმდინარეობს ინტენსიური კომუნიკაცია სააგენტოს ეკონომიკურ სამსახურთან 2017 წლის ბოლომდე დაგეგმილ აქტივობებზე და ბიუჯეტების გადახედვა მეორე გადმორიცხვისთვის;
- მიმდინარეობს სივრცული მონიტორინგისა და ანგარიშგების პროგრამის თარგმნა ქართულ ენაზე SMART (Spatial Monitoring and Reporting Tool), მიმდინარეობს ადაპტირება უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით;
- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების მონტორინგის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მეორე საველე გასვლა და მონაცემების შეგროვება ველზე დამონტაჟებული ფოტომახეებიდან (ჯიხვის მონიტორინგი, განმახორციელებელი Nacres);
- მტირალას ეროვნული პარკის ტურიზმის სტრატეგიის გეგმის დანერგვის ფარგლებში მიმდინარეობს არსებული ტურისტული პროდუქტების გაუმჯობესების შესწავლა და ახალი პროდუქტების შემუშავება პარკის ტურისტურისტული პოტენციალის და შემოსავლების გაზრდის მიზნით;
- მტირალას ეროვნული პარკის ტურისტული პოტენციალის გაზდის მიზნით მიმდინარეობს პრიორიტეტული პროექტების შერჩევა-კონსულტაციები. გამოვლინდა თოკების პარკის მოწყობის იდეა სოფ. ჩაქვისთავში. მიმდინარეობს კონსულტანტების შერჩევა პროექტის დიზაინისა და ხარჯთაღრიცხვის მოსამზადებლად;
- ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოს სამთო გიდების ასოციაციასთან ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ქვაბისხევის უბანში ვია ფერატას მოსაწყობად ტექნიკური დავალების, ხარჯთაღიცხვისა და პროექტის მოსამზადებლად;
- ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ადგილობრივ კონსულატნებთან ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიეზე არსებული საძოვრების მდგომარეობის შეფასების მიზნით.
- ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტურიზმის სტრატეგიის გეგმის დანერგვის ფარგლებში განხორციელდა ვიზიტი დედოფლისწყაროში, ვიზიტორთა ცენტრში, საქართველოს

ეროვნული მუზეუმის დირექტორთან ერთად. მიზანი ვიზიტორთა ცენტრში არსებული საგამოფენო სივრცის განახლებისთვის პროექტის მომზადებაა;

- National Geographic საქართველოს წარმომადგენლობასთან შედგა შეხვედრები ვაშლოვანისა და ჯავახეთის დაცული ტერიტორიებისთვის სტატიების მომზადების თაობაზე თანდართული ფრინველთა სამიგრაციო მარშრუტების რუკითა და ილუსტრაციებით
- ჯავახეთის ეროვნული პარკის ტურისტული პოტენციალის გაზდის მიზნით მოხდა პრიორიტეტული პროექტების შერჩევა-კონსულტაციები. ღამისთევის საშუალებების არარსებობის და ტურიზმის სტრატეგიაში არსებული რეკომენდაციების საფუძველზე გამოიკვეთა ორნომრიანი კოტეჯის მშენებლობა-მოწყობის იდეა პარკის ადმინისტრაციის ეზოში. სამომავლოდ, პროექტი მიზნად ისახავს მარტივი ფარდულის მოწყობას კაფეტერიისა და ადგილობრივი სუვენირების გასაყიდად. აუცილებელია საგზაო მანიშნებლების პრობლემის მოგვარება გზაჯვარედინზე. მიმდინარეობს კონსულტანტების შერჩევა პროექტის დიზაინის და ხარჯთაღრიცხვის მოსამზადებლად.
- ჯავახეთის ეროვნული პარკის ტურიზმის სტრატეგიის გეგმის დანერგვის ფარგლებში შედგა ბერძენი და ქართველი ექსპერტების ვიზიტი ჯავახეთში და მომზადდა წინასწარი კვლევის ანგარიში კარწახის ან/და მადატაფას ტბებზე ვარხვებზე დაკვირვების კუნძულის მოწყობის შესაძლებლობის შესაფასებლად.
- ბიუჯეტის დაგეგმვის, ანგარიშგების და საბუღალტრო პროგრამის Oris Manager შეძენის და სააგენტოში დანერგვის მიზნით ხელშეკრულება დაიდო შპს ორისთან რომლის მიზანს წარმოადგენს ფინანსური მენეჯმენტის გაუმჯობესება ცენტრალურ დონეზე ფინანსების დაგეგმვისა და ანგარიშგების გამარტივების გზით, ფინანსური და საბუღალტრო პროგრამების დიგიტალიზაცია
- მომზადდა ტექნიკური დავალება დედოფლისწყაროში, ვიზიტორთა ცენტრში, საგამოფენო სივრცის რეკონსტრუქციისათვის.
- ფონდის დაფინანსებით National Geographic საქართველოს ოქტომბრის თვის ნომრისთვის მომზადდა და გამოქვეყნდა სტატია და ფოტომასალა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე.
- ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ფარგლებში შედგა ფონდის მიერ მოწვეული საერთაშორისო ექსპერტის ვიზიტი საქრთველოში. შეფასდა მიმდინარე პროექტების პროგრესი, მომზადდა ტექნიკური დავალებები და რეკომენდაციები შემდგომი ქმედებების განსახორციელებლად.
- შედგა KfW-მიერ მოწვეული საერთაშორისო ექსპერტების ვიზიტი საქართველოში ფონდის სტრატეგიის გადახედვის მიზნით. მომზადდა ანგარიშის პირველადი ვერსია რეკომენდაციებით.
- ზუკოვის ფონდის ორგანიზებითა და CNF-ის თანადაფინანსებით შედგა დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარისა და ვაშლოვანის ტურიზმის სპეციალისტის ვიზიტი გერმანიისა და ჩეხეთის ბიოსფერულ რეზერვატებში გამოცდილების გაზიარების მიზნით. სექტემბერში RECC Caucasus ოფისში ჩატარდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვისა და მართვის ფორმებზე რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.
- შედგა შეხვედრა ინგლისის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს წარმომადგენლებთან ეკოტურიზმის კუთხით სამომავლო თანამშრომლობაზე.

GIZ - თუშეთის დაცული ტერიტორიები/ეროზიის კონტროლი

- სოფელ შენაქოში თავიდან შემოიღობა საძოვრების ფართობები და ერთ ნაკვეთზე გაგრძელდა ნაკვეთმორიგეობითი ძოვება;
- მიმდინარეობს ტყის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები სოფელ ჯვარბოსელში;
- ჩატარდა ტრენინგი საძოვრების როტაციული სისტემით გამოყენებაში;
- სოფელ ჯვარბოსელში ეროზიულ ნაპრალში მოეწყო ბიოსაინჟინრო ნაგებობა;
- გაკეთდა მცირე სანერგე ეროზიების გასამაგრებლად და მიმდინარეობს ნარგავების ეროზიულ ნაწილში გადარგვა;
- მოხდა ელექტროღობით ეროზირებული ფერდობის შემოღობვა.

აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მართვის დახვეწა

- დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული ერთეულების შესაძლებლობების გაძლიერების მართვის გეგმის შემუშავებისა და მათზე დაკისრებული მოვალეობების ტექნიკურად და ეფექტურად შესრულების ხელშეწყობის აქტივობის ფარგლებში 3-ვე დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციას გადაეცა პირველადი სამედიცინო დახმარების მედიკამენტები და ხელჩანთები;

- დასრულდა ,,თემზე დაფუძნებული მონიტორინგის“ პროგრამა, რომლის მიზანი იყო თემის რეინჯერებისა და ფოკუს ჯგუფების ჩამოყალიბება და ინფორმაციის (ეროვნული პარკის ირგვლივ არსებული პრობლემების, საკითხების) მოპოვება-გაზიარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა დაცული ტერიტორიის მიმდებარე არეალების ეკოლოგიური მონიტორინგი, შეფასდა ანთროპოგენური ზეგავლენის ხარისხი, შემუშავდა რეკომენდაციები, განისაზღვრა პრიორიტეტები. საბოლოო ანგარიში მტირალას ეროვნული პარკის ,,თემზე დაფუძნებული მონიტორინგის“ შესახებ წარმოდგენილი იქნება უახლოეს მომავალში;
- ,,ნორჩი რეინჯერების“ ფარგლებში მტირალას ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლების სკოლებიდან შერჩეულია 60 ნორჩი რეინჯერი, რომლებიც ჩართულნი არიან როგორც ეროვნული პარკის საქმიანობებში, ასევე ეკოლოგიური მონიტორინგის უნარების განვითარებისათვის სხვადასხვა აქტივობებში - განახორციელეს ვიზიტები მტირალას ეროვნულ პარკში, ბოტანიკურ ბაღში. ამავე სკოლებში შეიქმნა ეკო-

კლუბები, რომელთა დანიშნულებაა ეკოლოგიური განათლების მიღება და მონაწილეობა. ამ მიზნით მოეწყო პრეზენტაცია-გამოფენები, დაირგო ნერგები;

- ,,ნორჩი რეინჯერის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარდა ღონისძიება ,,ერთი დღე რეინჯერთან“, რომელიც დასრულდა მტირალას ეროვნულ პარკში ვიზიტით. ასევე განხორციელდა გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ეკოტურები მაჭახელასა და კოლხეთის ეროვნულ პარკებში, მარტვილისა და ოკაცეს კანიონებზე და კინჩხას ჩანჩქერზე. გარდა ამისა, ამავე პროექტის ფარგლებში მტირალას ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლების საჯარო სკოლებში - ჩაისუბნის, გორგაძეების, ჩაქვის #1 საჯარო სკოლასა და ჩაქვის გიმნაზიაში მიმდინარეობდა ,,მწვანე კალენდრით“ გათვალისწინებული აქტივობები და კვარტალური შეხვედრები;

- ,,მტირალასა და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის“ მიერ მომზადდა და დაიბეჭდა მტირალასა და მაჭახელას ეროვნული პარკის ნორჩი რეინჯერებისათვის საველე გზამკვლევი;
- 2017 წლის ივლისში შემუშავდა მაჭახელას ეროვნული პარკის ,,ნორჩი რეინჯერების პროგრამა“ რომელიც ხორციელდება ამავე ასოციაციის მიერ. შერჩეულია საჯარო სკოლები შესაბამისი მოსწავლეებით და მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული საქმიანობები;
- მაჭახელას ეროვნული პარკის 6 წლიანი მენეჯმენტის გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით გაიმართა შეხვედრები როგორც პარკის ადმინისტრაციასთან და მაჭახელას და მტირალას ეროვნული პარკების მეგობართა ასოციაციასთან, ისე პროექტის მენეჯერთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან. დასრულდა მაჭახელას ეროვნული პარკის საოპერაციო გეგმა, რომელიც წარდგენილია დაცული ტერიტორიების სააგენტოში;
- დასრულდა მაჭახელას ეროვნული პარკის ოფისისა და ვიზიტორთა ცენტრის სარეკონსტრუქციო სამუშაოების I ეტაპი (149 050 ლარის დაფნანსებით) ;
- მაჭახელას ეროვნული პარკის დამხმარე ზონის თემების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში დაიწყო ,,clearing house”-ის მოსამზადებელი სამუშაოები, შეგროვებულია შესაბამისი ინფორმაცია ;
- დასრულებულდა სოფლის მეურნეობის მართვასთან დაკავშირებით კვლევები, უახლოეს ხანში იგეგმება მოსახლეობის ტრენინგები;
- დასრულდა კვლევები არამერქნული ტყის რესურსებით სარგებლობისა და სამკურნალო მცენარეების შესახებ , მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები;
- მცირე სათბურების მოწყობასთან დაკავშირებით დასრულდა კვლევები;
- მცირე სათბურების მოწყობასთან დაკავშირებით ხეობაში მცხოვრები 5 ოჯახისათვის შეძენილი იქნა სასათბურე მეურნეობისათვის განკუთვნილი მსუბუქი კონსტრუქცია;
- დამონტაჟდა 5 მზის გამათბობელი სისტემა, ალტერნატიული საწვავის გამოყენების, შეშის დამზადების წესებისა და დათბუნების ეფექტის გაზიარების მიზნით,

მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად დაიბეჭდა 500 ეგზემპლარი ბუკლეტი, დარიგდა კითხვარები და შეგროვდა ინფორმაცია;

- ორგანიზება გაუკეთდა მაჭახლობის ფესტივალზე მათ მიერ დაგეგმილ საქმიანობებს;
- საკონცერტო პროგრამის შემუშავების მიზნით, გაეწია დახმარება ფოლკლორულ ანსამბლ ,,მაჭახელას“. მათთვის აგრეთვე შეძენილი იქნა მუსიკალური ინსტრუმენტი;
- დასრულდა და განხილვის ფაზაშია ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება;
- ნარჩენების ეფექტური მართვის მიზნისათვის განსაზღვრული სპეციალური ტექნიკა (ავტომობილი) ადგილობრივი ხელისუფლების თანადაფინანსებით შეძენილია და უახლოეს ხანებში მიეწოდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს;
- მიმდინარეობს დამხმარე ზონაში ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება: შეირჩა სამოქმედო არეალები, შეიქმნა დაინტერესებულ პირთა ქსელი;
- ჩატარდა საველე სამუშაოები ბუნებრივი და ანთროპოგენური რესურსების და ტურისტული ინფრასტრუქტურის შეფასების თაობაზე;
- დასრულებულია მაჭახელას ეროვნული პარკის სამარშრუტო ბილიკებისათვის განკუთვნილი საინფორმაციო დაფებისა და მარკირების მონტაჟი;
- მომზადდა ანგარიში ალტერნატიული ტურისტული პროდუქტის შეფასების თაობაზე, შეფასებულია მეღვინეობის განვითარების პერსპექტივები, მიღებულია ტურიზმის პოტენციალის შეფასებისა და ტუროპერატორების კვლევების ანგარიშები;
- ჩატარებულია ტრენინგები ბიომრავალფეროვნებასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული ეკოტურისტული პროდუქტის განვითარების მხრივ, გამოგზავნილია სილაბუსები პროდუქციის განვითარების, მარკეტინგისა და ეკოტურიზმის გაუმჯობესების შესახებ;
- მიმდინარეობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და კვლევის ცენტრის - ნაკრესის მიერ გარეულ ცხოველთა და ადამიანის კონფლიქტის პროექტის ფარგლებში თებერვლიდან დაწყებული გეგმის შესაბამისი საქმიანობები;
- მოწოდებულია ანგარიში კონფლიქტის ეფექტური მეთოდებით მიდგომასა და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გაუმჯობესების თაობაზე, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ტრენინგის მოდული;
- საქართველოს ენერგო ეფექტურობის ცენტრის მიერ ტესტირების მიზნით, ქედქედის საჯარო სკოლას გადაეცა ალტერნატიული საწვავი - თხილის ნაჭუჭი და ნახერხი ფილები.
- საქართველოს ენერგო ეფექტურობის ცენტრის მიერ მიმდინარეობდა პროექტის ფარგლებში გახორციელებული აქტივობების მონიტორინგი - ალტერნატიული საწვავის - თხილის ნაჭუჭისა და ბიომასის (ნახერხის) ბრიკეტების გამოყენების ეფექტურობა, მზის წყალგამაცხელებელი სისტემების (კოლექტორები) გამართული მუშაობა, დათბუნების ეფექტი, დაზოგილი საშეშე მერქნის, ელექტროენერგიისა და ფინანსური ხარჯების სტატისტიკური ანალიზი. ოქტომბრის ბოლოსთვის იგეგმება

შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც წარმოდგენილი იქნება განხორციელებული საქმიანობების შედეგები და რეკომენდაციები;

- თანადაფინანსებით შეძენილ იქნა და 11 ოჯახს გადაეცა 33 ტონა თხილის ნაჭუჭი;
- კარ-ფანჯრის დათბუნება განხორციელდა 14 ოჯახში (სოფლები: ჩხუტუნეთი, ქედქედი, აჭარისაღმართი, სინდიეთი, ცხემლარა, ქედქედის საშუალო სკოლა) ;
- სოფლის მეურნეობის მართვასთან დაკავშირებით კვლევები დასრულებულია, ადგილობრივ მოსახლეობას ჩაუტარდათ ტრენინგები, მომზადდა რეკომენდაციები;
- ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან მიმდინარეობს აქტიური კონსულტაციები სავაჭრო ადგილის გამოყოფის და ერთობლივად ორგანიზების თაობაზე;
- შესწავლილი და შეფასებული იქნა მაჭახალას ხეობაში არსებული სადემონსტრაციო ობიექტები;
- მომზადდა და გამოქვეყნდა მაჭახელას ხეობის ღირსშესანიშნაობის შესახებ საინფორმაციო ბროშურის ქართული ვერსია. რუსული და ინგლისური ვერსიები დამუშავების პროცესშია;
- ჩატარდა შეხვედრები როგორც პროექტის მენეჯერსა და მაჭახელას საკონსულტაციო საბჭოს წევრებს, ისე სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის (ადგილობრივიხელისუფლების - გამგეობის წარმომადგენლებთან). მიმდინარეობს მართვის რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტის განხილვა. მოწოდებულია შესაბამისი ანგარიში. კვლევა დასრულდება ოქტომბრის ბოლოს

CzDA/ISCA - იმერეთის მღვიმეების მართვის გაუმჯობესება

- გაფორმდა მემორანდუმის დამატება N1 ჩეხეთის განვითარების სააგენტოს, ჩეხეთის მღიმეების ადმინისტრაციასა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს შორის
- მოხდა სპელეო აღჭურვილობის შეძენისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება
- 2017 აგვისტოში ვიზიტით იმყოფებოდნენ ჩეხი ექსპერტები, რომლებმაც სპელეო დაივინგის აღჭურვილობის ორი კომპლექტი გადასცეს იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას.

"შერჩევითი ღონისძიებების განხორციელება თუშეთის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმიდან"

- მოხდა ტურისტული მარშრუტების დადგენა და მონიშვნა
- განახლდა ადმინისტრაციის ვებ გვერდი და დაიბეჭდა რუკები

- მიმდინარეობს მაჩვენებელი აბრების დამონტაჟება
- ჩეხი მოხალისეები იმყოფებოდნენ თუშეთში და ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად განახორციელეს საფეხმავლო ხიდების შეკეთება და ომალოს სანერგეს შემოღობვაში დახმარება
- ჩეხ მოხალისეებთან ერთად მოხდა დიკლო-შენაქოს გზაზე ტერიტორიის დალაგება-დასუფთავება

ტყის ინვენტარიზაციის პროექტი

- გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი ჩეხეთის განვითარების სააგენტოს, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას შორის თუშეთის მთიანი რეგიონის-თუშეთის დაცული ტერიტორიების განვითარებისთვის;
- დაიგეგმა ტრენინგები თუშეთში დაცული ტერიტორიების თანამშრომლებისთვის ტყეების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასების მახასიათებლების შეფასებასთან დაკაშირებით;
- ჩეხეთის მხარის მიერ მოხდა ტყის ინვენტარიზაციისთვის საჭირო მოწყობილობების შეძენა და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის გადმოცემა;
- ჩეხი ექსპერტები იმყოფებოდნენ თუშეთში სადაც მოხდა სამოდელო ტერიტორიის შესწავლა;
- ჩეხმა ექსპერტებმა ჩაატარეს პრეზენტაციები ტყეთმოწყობის საკითხებზე თუშეთში.

მცირე ეკო-ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა თბილისის ეროვნულ პარკში

- მოეწყო 3 ვიზიტი ადგილზე. ადგილზე მოხდა ტერიტორიის შესწავლა დათვალიერება სააგენტოს წარმომადგენლებთან და მშენებელთან ერთად, რომელიც უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროცესს, 1 ვიზიტზე იმყოფებოდნენ ესტონეთის ელჩი და მისი მოადგილე ;
- დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და პარკის ადმინისტრაციასთან მოხდა შეთანხმება ინფრასტრუქტურის დიზაინზე;
- გაფორმდა ხელშკრულება მშენებელთან და მიმდინარეობს ტერიტორიის მომზადება მშენებლობისათვის;
- პროექტის ფარგლებში აშენდა 2 საპიკნიკე ადგილი, მოეწყო საპირფარეშო 2 წერტილზე, წყარო, საპიკნიკეებთან მოეწყო 2 საცეცხლე ადგილი და დამატებით 1 საცეცხლე ადგილი საკარვე ადგილთან, გამზადდა საინფორმაციო დაფების დიზაინი.

ინსპექტირების სამსახური

2017 წლის ცხრა თვის განმავლობაში ინსპექტირების სამსახურის მიერ დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაქვემდებარებულ 11 ადმინისტრაციაში განხორციელდა ინსპექტირება(სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში), მათ შორის კოლხეთის ეროვნული პარკის, ჯავახეთის ეროვნული პარკის, მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების, ბორჯომის ეროვნული პარკის, ბაწარა-ბაბანეულის დაცული ტერიტორიების, თბილისის ეროვნული პარკის, მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის, კინტრიშის დაცული ტერიტორიების, აჯამეთის აღკვეთილის, მაჭახელას ეროვნული პარკის და ჭაჭუნას აღკვეთილის ადმინისტრაციებში. ინსპექტირების შედეგად, გამოვლინდა 6,52 $მ^3$ უკანონო უკანონოდ მოჭრილი I და II ხარისხის ხე-ტყე, ხოლო გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობამ შეადგინა 1395,8 ლარი, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებული მოკვლეული მასალები გადაგზავნილია სამართალდამცავ ორგანოში.

შემოწმებების პროცესში ინსპექტირების სამსახურის მიერ, განსაკუთრებული ყურადგება ექცეოდა თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების გამოვლენის საკითხს. გატარებული ღონისძიებების შედეგად აღმოჩენილი ფაქტების საფუძველზე 23 თანამშრომლის მიმართ გამოყენებული იქნა სააგენტოს შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომა, მათ შორის 3 თანამშრომელი გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან. აღნიშნული სამი თანამშრომლის სამსახურეობრივ გადაცდომასთან დაკავშირებული მასალები გადაიგზავნა სამართალდამცავ ორგანოებში.

იურიდიული სამსახური

- დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულების თანახმად იურიდიული სამსახურის ფუნქციებს წარმოადგენს: სააგენტოს სისტემის სამართლებრივი მომსახურება, სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული ნორმატიული აქტებისა და სხვა დოკუმენტების პროექტების მომზადება, სამართლებრივი დასკვნების მომზადება სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული დავებზე, სასამართლო ორგანოებში სააგენტოს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, სხვადასხვა სახის ხელშეკრულებების, მათ შორის საგრანტო, მომზადება და სამართლებრივი ექსპერტიზა. შესაბამისად თავისი კომპეტენცის ფარგლებში იურიდიული სამსახურის მიერ 2017 წლის 9 თვეში გაწეული იქნა საქმიანობა შემდეგი მიმართულებებით:

კანონშემოქმედებითი საქმიანობა

2017 წლის 9 თვეში იურიდიული სამსახური ინტენსიურად იყო ჩართული არსებულ კანონებში ცვლილებების პროექტების მომზადებაში და მომზადდა 5 ცვლილება.

კანონქვემდებარე აქტების მომზადება

კანონშემოქმედებითი საქმიანობის ერთ(-)ერთი შემადგენელი ნაწილია კანონქვემდებარე აქტების მომზადება, რომლებიც არეგულირებენ სააგენტოს საქმიანობას. 2017 წლის 9 თვეში იურიდიულმა სამსახურმა მოამზადა საქართველოს მთავრობის 7 კანონქვემდებარე აქტის პროექტი;

საგრანტო ხელშეკრულებები

2017 წლის 9 თვეში იურიდიული სამსახური აქტიურად იყო ჩართული დონორ ორგანიზაციებთან დასადები ხელშეკრულებების პროექტების სამართლებრივ შემოწმებაში, მათი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით. ამ მიზნით 2017 წლის 9 თვეში იურიდიული სამსახურის მიერ განხილული იქნა 1 საგრანტო ხელშეკრულება;

სასამართლო წარმომადგენლობა

იურიდიული სამახურის ერთ-ერთ ფუნქციაა სასამრთლოში სააგენტოს წარმომადგენლობა. 2017 წლის იანვრიდან 2017 წლის ოქტომბრამდე ჩათვლით სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს იურიდიულმა სამსახურმა მონაწილეობა მიიღო 5 სასამართლო პროცესში, 5 სასამართლო მიმდინარეობს.

ადმინისტრაციული სამსახური

- **თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსი:** დასახული მიზნებისა და ამოცანების ეფექტურად შესრულებისათვის, აუცილებელია სწორი საკადრო პოლიტიკის ფორმირება, რომელსაც სააგენტო დღემდე ახორციელებს. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სააგენტოს სწრაფი ტემპებით განვითარებას და ხელს უწყობს ახალი ინოვაციური იდეებისა და ხედვების ჩამოყალიბებას. ამდენად სააგენტოში პერმანენტულად ცხადდება საჯარო კონკურსები, რომელიც მიმდინარეობს შეჯიბრობითობის პრინციპის დაცვით თანასწორუფლებიანობის პირობებში. კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტი ხდება სააგენტოს მნიშვნელოვანი რგოლი.

- 2017 წლის 9 თვის განმავლობაში ადმინისტრაციულმა სამსახურმა დაცული ტერიტორიების სისტემის მაშტაბით ჩაატარა საჯარო კონკურს 71 ვაკანტურ პოზიციაზე, რომელზეც განხილულ იქნა 430 განაცხადი.

- საჯარო კონკურსის ყველა ეტაპი ჩატარდა გამჭირვალედ - საჯარო ხელმისაწვდომობის პირობებში. კონკურსთან დაკავშირებული დოკუმენტები განთავსებულია სააგენტოს ვებ-გვერდზე *apa.gov.ge*.

- **2017 წლის 9 თვის განმავლობაში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები:**
  - ✓ მომზადდა 39 ბრძანება - განთავისუფლების შესახებ;
  - ✓ მომზადდა 73 ბრძანება - დანიშვნის შესახებ;
  - ✓ მომზადდა 338 ბრძანება - მივლინების შესახებ;
  - ✓ მომზადდა 23 ბრძანება - დისციპლინური დასჯის შესახებ;
  - ✓ მომზადდა 228 ბრძანება - შვებულების შესახებ;
  - ✓ მომზადდა 9 ბრძანება - წახალისების შესახებ;
  - ✓ მომზადდა 2 ბრძანება - შრომითი ურთიერთობის შეჩერების შესახებ;
  - ✓ მომზადდა 7 ბრძანება - დროებით დაკისრების შესახებ შესახებ;
  - ✓ მომზადდა 1 ბრძანება -დეკრეტული შვებულების შესახებ;
  - ✓ მომზადდა 129 ბრძანება - საერთო საქმიანობის შესახებ;

- **ადმინისტრაციული საქმისწარმოება**
  - ✓ შემოსული წერილების რაოდენობა - 6780;
  - ✓ გასული წერილების რაოდენობა - 2734;
  - ✓ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე შემოვიდა 7 განცხადება - ყველა დაკმაყოფილდა;
  - ✓ ცნობა სამუშაო ადგილიდან - 118.

- **სამსახურებრივი მოწმობების გაცემა**
  - ✓ გაიცა სამსახურებრივი მოწმობა 100-მდე თანამშრომელზე;

- **სახელფასო პლასტიკური ბართების ადმინისტრირება**
  - ✓ 2017 წლის 9 თვის განმავლობაში სააგენტოდან მოხდა 22 წერილის გაგზავნა სახელფასო პლასტიკური ბარათების დამზადება/განახლების თაობაზე,რომლის შედეგადაც დამზადებულ იქნა 93 სახელფასო პლასტიკური ბარათი.

- **შრომითი ხელშეკრულებების წარმოება**
  - ✓ სააგენტოს სისტემის მაშტაბით გაფორმდა 176 შრომითი ხელშეკრულება;

- **პირადი საქმეების ადმინისტრირება**
  - ✓ სააგენტოს სისტემის მაშტაბით განხორციელდა 139 პირადი საქმის შედგენა;

- **ელექტრონული სისტემა eHRMS Soft-ის ადმინისტრირება**
  - ✓ სააგენტოში დანერგილია თანამშრომელთა მონაცემების ელექტრონული სისტემა eHRMS Soft-ი და სააგენტოს სისტემის მაშტაბით 192-მდე თანამშრომლის პერსონალური ინფორმაცია განთავსდა ელექტრონულ პორტალზე,რომელშიც პერმანენტულად ხორციელდა ცვლილებები.

- **ადამიანური რესურსების მართვა**
  - ✓ სააგენტოს დაფინანსებით და ადმინისტრაციული სამსახურის ორგანიზებით, ვიზიტორთა მომსახურების მიმართულებით მომუშავე 12 თანამშრომელს 2017 წლის სექტემბრის თვეში ჩაუტარდათ 1 დღიანი ტრენინგი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიმართულებით;
  - ✓ სააგენტოს დაფინანსებით და ადმინისტრაციული სამსახურის ორგანიზებით, ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებს ჩაუტარდათ საარქივო საქმისა და საქმისწარმოების ამ სფეროში არსებული ძირითადი წესებისა და საკანონმდებლო ნორმატივების გაცნობასთან დაკავშირებული ერთდღიანი ტრენინგი;

ეკონომიკური სამსახური

- **პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 03)**
- **პროგრამის განმახორციელებელი - სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო**

ათასლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
38 03	დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	10 035,0	10 070,0	4187,0	41,6%	2791,0
38 03 01	სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო	5 285,0	5 320,0	3317,5	62,4 %	2791,0
38 03 02	დაცული ტერიტორიების დაცვა და რესურსების მართვა	100,0	100,0	9,6	9,6 %	
38 03 03	ეკოტურიზმის განვითარება, საზოგადოებასთან კავშირი, ეკოგანათლება და ვიზიტორთა მომსახურება	100,0	100,0	46,8	46,8 %	
38 03 04	დაცული ტერიტორიების განვითარება (CNF)	1 325,0	1340,27	679,0	50,7 %	
38 03 05	დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში-საქართველოს (ეკორეგიონალური პროგრამა საქართველო, (KfW)	3 225,0	3209,73	134,1	4,2 %	

- **ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:** (38 03 01) სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო
- **ქვეპროგრამის განმახორციელებელი**: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- ადმინისტრირებისათვის და დაცულ ტერიტორიებზე პატრულირებისათვის შესყიდული იქნა ავტომანქანებისათვის საწვავი. სააგენტოს ცენტრალური აპარატისა და ადმინისტრაციების ფუნქციონირებისათვის განხორციელდა კომუნალური მომსახურებების ანაზღაურება; სააგენტოს ცენტრალური აპარატისა და ადმინისტრაციებისათვის შესყიდულ იქნა სხვადასხვა სახის საოფისე ტექნიკა და საკანცელარიო ნივთები;
- განხორციელდა GPS მოწყობილობების დაყენება სააგენტოს კუთვნილ 90 ავტომანქანაზე;
- აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაციაში განხორციელდა იმერული მუხის აღდგენის სამუშაოები და დახვნის და დათესვის სამუშაოები 10 ჰა-ზე;
- წყლის დონის კონტროლისათვის შეძენილ იქნა შესაბამისი სპეციფიკური საზომი ხელსაწყო, რომელიც დამონტაჟებულ იქნა სოფელ ინჩხურში, მდინარე აბაშაზე მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლის ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- დასრულდა პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლისა და სათაფლიას აღკვეთილის ტერიტორიაზე ვიდეოსამეთვალყურეო, საგანგაშო, სასიგნალიზაციო და სხვა ელექტრო სამუშაოები. დასრულდა პრომეთეს მღვიმის სანაოსნო მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სააგენტოს ცენტრალური აპარატისა და ადმინისტრაციებისათვის შესყიდულ იქნა სხვადასხვა სახის სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საქონელი (აკუმლიატორები, მცურავი საშუალებების ზეთები და ფილტრები, ველოსიპედის ნაწილები, ცხენების ნალები, დასუფთავების აქციებისათვის ნარჩენების ტომრები და სამუშაო ხელთათმანები, პირველადი დახმარების კომპლექტები, ჰიგიენის საშუალებები და სხვა) და ავტომანქანების საბურავები;
- ავტოდაზღვევის შესყიდვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება;
- პრომეთეს მღვიმის საჭიროებისათვის შესყიდულ იქნა 4 ერთეული ალუმინის ნავი;
- სააგენტოს 9 ტერიტორიული ადმინისტრაციისათვის დამზადებულ იქნა 17 კომპლექტი სახანძრო სტენდი შესაბამისი აღჭურვილობით;
- დასრულდა საწურბლიას ბუნების ძეგლის, კინჩხას ბუნების ძეგლის, ნავენახევის ბუნების ძეგლის, მარტვილის კანიონის და ვაშლოვანში არწივის ხეობის ინფრასტრუქტურის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება;
- ადმინისტრაციული შენობების დაცვის მომსახურებების შესყიდვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულებები;
- პრომეთეს მღვიმის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის მიზნით გამოცხადდა ტენდერი;
- რეაბილიტაცია გაეწია სათაფლიაში შუშის გადასახედს და მასთან მისასვლელ ბილიკს, ასევე აღდგა პრომეთეს მღვიმის გამოსასვლელი, რომელიც დაზიანებული იყო დიდთოვლობით და შეკეთდა მარტვილის გადასახედის მოაჯირი.
- კოლხეთის ეროვნული პარკის ჭურიის უბანზე მოწყბილი იქნა ჭაბურღილი;

- აღდგენილ იქნა ოკაცეს დაზიანებული კიდული ბილიკი და გაწმენდილი იქნა კლდოვანი ტერიტორია ქვებისაგან;
- პრომეთეს მღვიმის სანაოსნო მონაკვეთის საჭიროებისათვის შესყიდულ იქნა ნავის სათადარიგო ძრავი შესაბამის აკუმლიატორებთან ერთად;
- მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაციის საჭიროებისათვის შესყიდულ იქნა ცეცხლგამძლე სეიფები თანხის შესანახად;
- მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლებისა და იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების საჭიროებისათვის შესყიდულ იქნა საინკასაციო და ცოცხალი ძალით დაცვის მომსახურებები;
- შესყიდულ იქნა კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიების ახალი საოფისე შენობის დაცვის და ინტერნეტის მომსახურებები;
- სხვადასხვა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების საჭიროებისათვის გაფორმებულია ხელშეკრულება საგზაო ტურისტული მანიშნებლების შესყიდვის მიზნით;
- სხვადასხვა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების საჭიროებისათვის გაფორმებულია ხელშეკრულება ელემენტების შესყიდვის მიზნით;
- სხვადასხვა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების საჭიროებისათვის გაფორმებულია ხელშეკრულება თივისა და ქერის შესყიდვის მიზნით;
- ნავენახევის მღვიმის ვიზიტორთა ცენტრისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულება და მიმდინარეობს სამშენებლო სამუსაოები;
- საწურბლიას მღვიმის ვიზიტორთა ცენტრისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულება და მიმდინარეობს სამშენებლო სამუსაოები;
- ოკაცეს ჩანჩქერზე ვიზიტორთა ცენტრისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულება და მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები;
- პრომეთეს მღვიმის ტურისტული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულებულია;
- მარტვილის კანიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულება და მიმდინარეობს სამუშაოები;

- **ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:** (38 03 02) დაცული ტერიტორიების დაცვა და რესურსების მართვა
- **ქვეპროგრამის განმახორციელებელი**: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- ნეძვის აღკვეთილის ტყის ინვენტარიზაციის ჩასატარებლად ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმდა ხელშეკრულება და მიმდინარეობს საინვენტარიზაციო სამუშაოები.

- ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე (შერეული ტიპის ტყეებში საერთო ფართობით 1273 ჰა.) ფიტოპათოლოგიური და ენტომოლოგიური კვლევის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულია ტენდერი.

- **ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:** (38 03 03) ეკოტურიზმის განვითარება, საზოგადოებასთან კავშირი, ეკოგანათლება და ვიზიტორთა მომსახურება
- **ქვეპროგრამის განმახორციელებელი**: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- ქ. თბილისში აპრილის თვეში განხორციელდა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მონაწილეობა;
- ქ. ბათუმში მაისის თვეში განხორციელდა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მონაწილეობა;
- გამოცხადებულ იქნა ტენდერები და დამზადდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო-სარეკლამო პროდუქცია (საგამოფენო სტენდები, 36 გრადუსიანი პანორამული ვიდეო რგოლები, საინფორმაციო-სარეკლამო ბანერები, ლიფლეტები, ბუკლეტები, ინსტალაციები/პრომეთეს მღვიმე და სხვა).
- შესყიდული იქნა ბორჯომ ხარაგაულის ეროვნული პარკის ტურისტული რუქები;
- განახლებულ იქნა სარეკლამო ბილბორდები იმერეთში 2 ცალი, ყაზბეგში და წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე.

- **ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:** (38 03 04) დაცული ტერიტორიების განვითარება (CNF)
- **ქვეპროგრამის განმახორციელებელი**: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- განხორციელდა 10 დაცული ტერიტორიისათვის საოპერაციო ხარჯების დაფინანსება. შესყიდულ იქნა ჟურნალ ნეიშენალ გეოგრაფიკის პერიოდული გამოცემები და საწვავი და საბურავები ავტოტრანსპორტისათვის პატრულირების განსახორციელებლად. თანამშრომლებისათვის გაიცა სახელფასო დანამატი;
- განხორციელდა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის თანადაფინანსება.
- ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისათვის შესყიდულ იქნა პიკაპის ტიპის ავტომანქანა.
- გამოცხადდა ტენდერი, გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება და მიმდინერობს ხარაგაულის ვიზიტორთა ცენტრის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუსაოები;
- გამოცხადდა ტენდერი, გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება და მიმდინარეობს მარელისის სასტუმროს სარემონტრო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- გამოცხადდა ტენდერი, გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება და მიმდინარეობს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსადგომის, ღამის განათებისა და ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების მოწყობა;

- გამოცხადდა ტენდერი, გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება და დღეის მდგომარეობით დასრულებულია თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში საპირფარეშოების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა;

- **ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:** (38 03 05) დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში-საქართველოს (ეკორეგიონალური პროგრამა საქართველო, (KfW)
- **ქვეპროგრამის განმახორციელებელი**: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- გაგრძელდა ყაზბეგის, ფშავ-ხევსურეთის, კინტრიშის და ალგეთის დაცული ტერიტორიების ტურიზმის სტრატეგიების, სამოქმედო და საინვესტიციო გეგმების შემუშავება;
- ალგეთის ეროვნული პარკისათვის დაიწყო მენეჯმენტის გეგმის შემუშავება და პარკის ადმინისტრაციის და ვიზიტორთა შენობის მშენებლობა;
- დაიწყო ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების სადემარკაციო ღონისძიებები;
- დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს ალგეთის და ყაზბეგის ეროვნული პარკების ადმინისტრაციული შენობების და ვიზიტორთა ცენტრების მშენებლობა;
- კინტრიში-ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული შენობა აღიჭურვა ავეჯითა და ინვენტარით, ასევე მიმდინარეობს საგამოფენო დარბაზის მოწყობისათვის ხელშეკრულებების მომზადება;
- შეთანხმდა ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის შატილის შენობის დიზაინი დონორ მხარესთან და დაიწყო ადმინისტრაციის შენობების (შატილსა და კორშაში) სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის პროცედურის მომზადება;
- მომზადდა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებისათვის 2017 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის/PR-სა და საგანმანათლებლო ღონისძიებების გეგმის პირველი სამუშაო ვერსიები და შესაბამისად დაიწყო საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება;
- მომზადდა ტექნიკური დავალება, შეირჩა საერთაშორისო ექსპერტი ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და საკონსერვაციო ღონისძიებების კომპონენტის დაწყებისათვის, ჩატარდა საველე სამუშაოები დაცულ ტერიტორიებზე. მიმდინარეობს ანგარიშის მომზადება;
- გაგრძელდა მონაცემთა ბაზის Triple I-ის შემუშავება;
- შემუშავდა სარეკომენდაციო დოკუმენტი ,,დაცული ტერიტორიების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების პროცესების ოპტიმიზაცია, დაცული ტერიტორიების ქონების მართვის გაუმჯობესება და მიღებული შემოსავლების ეფექტურად გადანაწილება“;
- მიმდინარეობდა პრომეთეს მღვიმის საგამოფენო დარბაზის მოწყობა: შემუშავდა ძირითადი კონცეფცია, შესრულდა აზომვითი სამუშოები და მომზადდა აზომვითი ნახაზი;
- დუშეთის მუნიციპალიტეტში დაცული ლანდშაფტის შექმნის მიზნით შემუშავების პროცესშია კანონპროექტი;

- გარემოსდაცვითი განათლების ცენტრის შესაქმნელად, დაიწყო დაცული ტერიტორიების საინფორმაციო/საგანმანათლებლო ცენტრის მოწყობის პროცესი (მოლაპარაკება თბილისის მერიასთან ალექსანდროვის ბაღში ცენტრის განთავსებისათვის, მომზადდა და განხილვის პროცესშია შენობის კონცეფცია);
- გამოცდილების გაზიარების მიზნით განხორციელდა ალგეთის ეროვნული პარკის, ყაზბეგის ეროვნული პარკის, კინტრიშის დაცული ტერიტორიების და ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციების თანამსრომლების გაცნობითი ვიზიტი მარტვილისა და ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლების ადმინისტრაციაში და მარტვილის კანიონში;
- მიმდინარეობდა რეგიონული მრჩეველთა საბჭოების (RAC) გაძლიერების მხარდაჭერა;
- მიმდინარეობდა მეგობართა ასოციაციების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება;
- განხორციელდა მყისიერი დაწყების მექანიზმების (QSM) მეორე ეტაპი ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიებისთვის (შატილის სახლების გადახურვა);
- დაიწყო ფინანსური თანამონაწილეობითი მიდგომის (FPA) კომპონენტის მესამე ციკლის ღონისძიებების განხორციელება სამიზნე დაცული ტერიტორიების მიმდებარე თემებში;
- დაიწყო ინდივიდუალური საპროექტო წინადადებების (IPP) კომპონენტის განხორციელება სამიზნე დაცული ტერიტორიების მიმდებარე თემებში;
- დაიწყო კვლევის ,,ტურიზმის ეკონომიკური ზეგავლენა საქართველოს შერჩეულ დაცულ ტერიტორიებზე" დაგეგმვა (ტექნიკური დავალება, კითხვარი, კომპანიების მოძიება).